კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო

უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ცირა თარალაშვილი

,,გლობალიზაციის გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაზე - ინტერნაციოზანალიზაციის ფაქტორი განათლების სფეროში საქართველოსა და სომხეთის მაგალითებზე"

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია, პროფესორი

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი-2020

ანოტაცია

21-ე საუკუნეში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გლობალურ უსაფრთხოებაში, რაც გამოწვეული არის გლობალიზაციის პროცესით. გლობალიზაციამ დედამიწის ყველა კუთხეში შეაღწია და მსოფლიოს ქვეყნები იძულებული გახდნენ გლობალურ პროცესებში ჩართულიყვნენ. საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები ამავე დროს კავშირშია კავკასიის რეგიონის ორი ქვეყნის საქართველოს და სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ყველა სფერო დაწყებული უსაფრთხოების, განათლების, ჯანდაცვის და ა.შ. მიერთებულია გლობალურ სისტემასთან და მიმდინარეობს ინტერნაციონალიზაციის პროცესი.

გლობალიზაცია უდიდეს გავლენას ახდეს საერთაშორისო პოლიტიკაზე და ცვლის მის კონკრეტულ მიმართულებებს. ივცვლება თანამედროვე საერთაშორისო სისტემა და საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათი, ამავე დროს გლობალიზაციის პროცესის გარკვეული სირთულეებიდან გამომდინარე, რაც გამოწვეულილა მისი ყოვლისმომცვლელი ხასიათით, იზრდება გლობალიზაციისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. მნიშვნელოვანია თუ როგორ მიმდინარეობს ინტერნაციონალიზაციის პროცესი მსოფლიოში და რასთან არის ის დაკავშირებული.

ნაშრომი, შეეხება გლობალიზაციის გავლენას საერთაშორისო პოლიტიკაზე თუ რა გავლენას ახედეს ის და როგორ იცვლება გლობალური სამყარო. ხოლო ამ ცვლილებების ფონზე თუ რა გამოწვევების წინაშე უწევთ ყოფნა სახელმწიფოებს. ასევე, გახილული არის ინტერნაციონალიზაციის ფაქტორი განათების სფეროში საქართველოს და სომხეთის მაგალითზე, ის თუ როგორ დაიწყო და მიმდინარეობს ეს პროცესი, რა სირთულეებს აწყდებიან და რამდენად წარმატებით ართმევენ თავს არსებულ გამოწვევებს განათლების სფეროში.

Annotation

The Impact of Globalization on International Politics - The Factor of Internationalization in the Field of Education in Georgia and Armenia

In the 21st century, significant changes have taken place in global security. All this was caused by the process of globalization. Globalization has embraced all states and forced countries to be involved in these processes. Under the conditions of globalization, the current changes in international politics affected the Caucasus region, including Georgia and Armenia, which affected their political life and various spheres. For example, safety, education, health care, etc. In the context of globalization, the process of internationalization of these states is underway.

The processes of globalization have a great impact on international politics and change its specific directions. First of all, the modern international system and the nature of international relations are changing, at the same time due to certain difficulties in the process of globalization, which is caused by its all-encompassing nature, the heterogeneous attitude towards globalization is growing. It is also quite important how the process of internationalization in the world is going and what the difficulties are.

The paper aims to show the impact of globalization on international politics and how the global world is changing. Against the background of these changes, what challenges do states face? Also, the factor of internationalization in the field of education in Georgia and Armenia is discussed, how this process started and is going, what difficulties they face and how successfully these two countries cope with the challenges in education.

Tsitsi Tharalashvili

სარჩევი

ანოტაცია.....2

Annotation.....3

შესავალი.....5

პირველი თავი: გლობალიზაციის გეოპოლიტიკა და მისი გავლენა რეგიონული უსაფრთხოების პირობებზე - კავკასიის რეგიონის მაგალითზე.....14

1.1. გლობალიზაციის არსი და რაობა და მისი გავლენა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაზე.....14

1.2. გლობალიზაციის ფაქტორი სამხრეთ კავკასიისქვეყნებში.....18

1.3. კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების კონტურები და „რბილი ძალის“ ეფექტი.....27

1.4. ინტერნაციონალიზაციის არსი და განათლების გლობალიზაციის ფენომენი.....34

მეორე თავი: კავკასიის რეგიონში განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესის პოლიტიკური ასპექტები - „ბოლონიის პროცესი“ როგორც ევროკავშირის „რბილი ძალის“ ფაქტორი.....41

2.1. „ბოლონიის პროცესის“ გავლენა რეგიონულ პოლიტიკაზე და ევროკავშირის გეოპოლიტიკური მიდგომები.....41

2.2. საგანმანათლებლო რეფორმების განხორციელება საქართველოსა და სომხეთში და „ბოლონიის პროცესის“ გეოპოლიტიკური ასპექტები.....54

2.3. განათლების პოლიტიკის გავლენა რეგიონული უსაფრთხოების პირობებზე - კონფლიქტების კერების დარეგულირების მოდელი.....65

დასკვნა.....71

გამოყენებული ლიტერატურა.....74

შესავალი

გლობალიზაცია უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე ცვლის მის ხასიათს, ასევა ეხება ყველა სფეროს და ცვლის მათ ბუნებას. თანამდეროვე მსოფლიოში სახელმწიფოებს თუ უნდათ იყვნენ განვითარებული და მათი ეკონომიკა იყოს სტაბილური ან თუნდაც მყარი აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართულნი გლობალიზაციაში ანუ გლობალურ პროცესებში რომლის უმისოდაც უკვე შეუძებელი ხდება ქვეყნების განვითარება. გლობალიზაციამ რადიკალურად შეცვალა სამყარო და ამ ცვლილებების ფონზე მას გამოუჩნდნენ, როგორც მომხრები ასევე მოწინააღმდეგები. ამ ფონზე განათლების სფეროში ინტერნაციონალიზაციის პროცესი უდიდეს როლს ასრულებს, ხდება მიერთება და ერთიანი საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება იმისთვის, რომ მოხდეს კარგი კადრების მომზადება რომლებცმა უნდა უპასუხოთ ახალ გამწვევებს საგანმანათლებლო სფეროში. ეს კი შეუძლებელია თუ საქართველო და სომხეთი არ იქნებიან მიერთებულნი ერთიან საგანმანათლებლო სივრცესთან და ბოლონიის პროცესში ჩართულები. რა თქმა უნდა ამ გზაზე ორივე სახელმწიფო აწყდება გარკვეულ პრობლემებს, თუმცა მთავარია მათი მზაობა დაძლიონ ეს დაბრკოლებები და ღიარსეულად ჩაერთონ ამ ერთიან პროცესში.

თემის აქტუალობა: მას შემდეგ, რაც XX საუკუნეში გლობალიზაციამ მსოფლიოს ყველა კუთხეში შეაღწია, ეს პროცესი შეუქცევადი გახდა. თემის აქტუალურობას განაპირობებს გლობალიზაციის პროცესის ფაქტორი, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე. ამ მხრივ კი გლობალიზაციის პროცესთან უშუალო კავშირშია და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინტერნაციონალიზაციის პროცესი განათლების სფეროში, ასევე რეგიონული უსაფრთხოების საკითხი, რომელზეც დამოკიდებულია გარკვეული კონფლიქტების ბუნება. მნიშვნელოვანია განვიხილოთ ინტერნაციონალიზაციის ფაქტორის გავლენა საქართველოს და სომხეთის განათლების სფეროზე, რადგან განათლება არის ის ძირითადი განმსაზღვრელი

ფაქტორი თუ როგორ განვითარდება ქვეყანა და რა გზით წავა, ასევე რა მომავალი ექნება მას. გლობალიზაციის პროცესში ჩართულობა თავისთავად მოითხოვს ახალ საგანმანათლებლო პოლიტიკას აუწყოს ყველა სახელმწიფომ ფეხი, აქ კი უკვე მოდუნება ან და არასწორი პოლიტიკის გატარება ქვეყნებს შეიძლება ძვირად დაუჯდეთ. რადგან სულ უფრო მცირდება სამუშაო ადგილება და იზრდება კვალიფიციურ მცოდნე კადრებზე მოთხოვნა, რაც თავისთავად უდიდესი კონკურენციის პირობებში კარგი და სწორი განათლების გარეშე შეუძლებელია.

ნაშრომის მიზნები:

- გლობალიზაციის პროცესის გავლენის გაანალიზება საერთაშორისო პოლიტიკაში;
- გლობალიზაციის ფაქტორის წარმოჩენა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში;
- გლობალიზაციის წინაშე მდგარი პრობლემების და გამოწვევების წაროჩენა;
- ინტერნაციონალიზაციის პროსეცის პოლიტიკური ასპექტების წარმოჩენა საქართველოს და სომხეთის მაგალითზე;
- საქართველოში და სომხეთში ინტარნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გაანალიზება და წამოჩენა.

ნაშრომის ამოცანები:

- საერთაშორისო პოლიტიკაზე გლობალიზაციის გავლენის ადეკვატური შეფასება;
- გლობალიზაციის პროცესის შესწავლა და საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში მისი გაანალიზება;
- ისტორიული მოვლენების ობიექტური ანალიზი;

- საქართველოს და სომხეთის მიდგომების შესწავლა განათლების სფეროში ინტერნაციონალიზაციის პროცესის მიმართ;
- ინტერნაციოზანალიზაციის ფაქტორი წარმოჩენა და ანალიზი განათლების სფეროში საქართველოსა და სომხეთის მაგალითებზე;
- განათლების სფეროში ბოლონიის პროცესის ეფექტიანობის შეფასება საქართველოს და სომხეთის მაგალითზე.

საკვლევი კითხვები:

1) რას წარმოადგენს გლობალიზაციის ფენომენი და მისი პოლიტიკური მდგენელი?
2) რა გავლენას ახდენს გლობალიზაცია განათლების პროცესზე და როგორია მისი ინტერნაციონალიზაციის ასპექტები?
3) რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ განათლების სფეროს როგორც რეგიონალური უსაფრთხოების „რბილი ძალის“ ფაქტორი, რომელსაც ევროკავშირი იყენებს თუნდაც კავკასიის რეგიონის მაგალითზე, იგივე თუნდაც ე.წ. „ბოლონიის პროცესის“ სახით?

ჰიპოთეზა

გლობალიზაციის პროცესმა, რომელიც დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებში ხელი შეუწყო საერთაშორისო პოლიტიკის ინტერნაციონალიზაციას და ხელი შეუწყო ისეთი ფაქტორების წარმოჩენას და გავლენის მოხდენა ამ პროცესებზე, როგორიცაა განათლების სფერო. ფაქტიურად აღნიშნული დარგი გახდა ერთგვარი „რბილი ძალა“, რომელსაც გარკვეული აქტორები იყენებენ რეგიონული უსაფრთხოების დონეზე თავისი გავლენისა და სტაბილურობის მიღწევისათვის.

კვლევის მეთოდები

თემის დამუშავების დროს გამოვიყენეთ არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა. ასვე, თვისებრივი კვლევის მეთოდები. ესენია:

- ისტორიულ-აღწერილობითი,
- ინტერდისციპლინარული მეთოდი,
- ნარატიული ანალიზი,
- კონტენტ-ანალიზი.

კვლევის თეორიული ჩარჩო: ამ მხრივ საინტერესოა შემდგონი საერთაშორისო უსაფრთხოების და საერთაშორისო ურთიერთობების სკოლების და კონცეფციების წარმოჩენა:

- ჯოზეფ ნაის „რბილი ძალის“ თეორია
- სოციალური კონსტრუქტივიზმის სკოლა
- ინგლისის სკოლა
- ,,სექიურითიზაციის თორია“
- კონსტრუქტივიზმის თეორია
- კრიტიკული თეორია

ე.წ. ,,რბილი ძალის“ (soft power) თეორიის, ტერმინის და კონცეფციის ავტორად მიჩნეულია ამერიკელი მეცნიერი და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯოზეფ ნაი. ავტორი ,,რბილი ძალის“ კონცეფციას ხსნის ახალი საერთაშორისო უსაფრთხოების რელიაებიდან გამომდინარე. თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობაში სამხედრო ძალა შეუფერებელი ინსტრუმენტია, 21-ე საუკუნეში უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ძალას და უკვე სხვა რესურსები უფრო ფასობს. გალითისთთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ მოლაპარაკებები წამოების უნარი, სწორედ აქ არის რბილი ძალის დომინანტობა.

სოციალური კონსტრუქტივიზმი არის თეორიული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს სამყაროში არსებული და გაზიარებული ცოდნისა და მნიშვნელობების კონსტრუირების პროცესების კვლევას. სოციალური კონსტრუქტივიზმისათვის მნიშვნელოვანია ენისა და სოციალური კატეგორიების ანალიზი იმის ასახსნელად, როგორ ახდენს მოცემულობად მიღებული კატეგორიები ზეგავლენას ჩვენს გამოცდილებებზე და მოვლენების „ბუნებრივად", „უნივერსალურად" და „უცვლელად" აღქმაზე. შესაბამისად, სოციალური კონსტრუქტივიზმი „პოზიტივიზმისა" და „ესენციალიზმის" საწინააღმდეგო მიდგომაა.[1]

,,სექიურითიზაციის თორია" - უკავშირდება უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას, რომელიც ასოცირდება ოლი ვივერის, ბარი ბუზანის, ელაბიეტა ტრომერი და სხვები, აღნიშნული თეორია კონსტრუქტივიზმის თეორიის წიაღში წარმოიშვა, რომელიც საზოგადოების ჩართულობას ითვალისწინებს. საერთაშრისო სისტემის კონტექსტში, უსაფრთხოება არის ქვეყნის და საზოგადოების უნარი შეინარჩუნონ საკუთარი იდენტურობის და ცხოვრების დამოუკიდებლობა. უსაფრთხოების დინამიკა კი წარმოიქმნება საფრთხეებისა და მოწყვლადობის ურთიერთგადაკვეთით, რომელიც თავის მხრივ ამ ამოცანებზე ახდენს გავლენას.[2]

კრიტიკული თეორიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზი უფრო ფართო სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ფილოსოფიურ კონტექსტში უნდა მოხდეს და არა ერთი დისციპლინის ფარგლებში. კრიტიკული თეორია ასოცირდება ე.წ. ფრანკფურტის სკოლის ფილოსოფიურ ტრადიციასთან და მის დამაარსებელ

---

[1] ,,სოციალური კონსტრუქტივიზმი". გვ1. http://dictionary.css.ge/content/social-constructivism (ბოლო ნახვა-15.05.2020)

[2] მაღრაძე გ. მაისაია ვ. ,,21–ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია: მითი და რეალობა–რეგიონული და გლობალური ასპექტები". გამომცემლობა: ,,უნივესალი", თბილისი-2017. გვ. 105.

იურგენ ჰაბერმასთან. ჰაბერმასი სოციალური წესრიგის როგორც ეპისტემოლოგიურ, ისე ონტოლოგიურ საფუძვლებს აყენებდა ეჭვქვეშ. საერთაშორისო ურთიერთობებში ამ სკოლის წარმომადგენლებმა ნეორეალიზმისა და ნეოლიბერალიზმის ტრადიციული მიმდინარეობის წინააღმდეგ გაილაშქრეს. კრიტიკული თერიის ამ ორ მიმდინარეობას ე.წ. „განმანათლებლობის პროექტის“ ნაწილად განიხილავს და მიიჩნევს, რომ განმანათლებლობამ ადამიანი არათუ გაათავისუფლა, არამედ დეჰუმანიზაციამდე მიიყვანა. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში კრიტიკული თეორიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ თეორიული კვლევის საფუძველი უნდა იყოს არა საერთაშორისო პროცესების „ახსნა“ ან „გაგება“, არამედ მათი ცვლილებებისათვის ხელშეწყობა.[3]

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანია გლობალიზაციის გავლენა განათლების სფეროს განვითარების საქმეში და მისი გავლენა რეგიონული უსაფრთხოების სტაბილიზაციის პროცესში.

კვლევის ობიქეტია გლობალიზაცია, „რბილი ძალის“ ფენომენი და განათლების ე.წ. „ბოლონიის პროცესი“.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი გამოადგება გლობალიზაციის და საერთაშორისო პოლიტიკით, ასევე განათლების სფეროში ინტერნაციონალიზაციის პროცესის და კონკრეტულად საქართველო და სომხეთის მაგალითზე დაინტერესებულ ყველა სპეციალისტს, ანალიტიკოს, საერთაშორისო ურთიერთობისა და უსაფრთხოების მკვლევარებს. ასევე, მისი გამოყენება შესაძლებელია უნივერსიტეტების საბაკალავრო პროგრამებში. ნაშრომს თავისუფლად შეუძლია გახდეს გახდეს

[3] ,,კრიტიკული თეორია“. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. გამომცემლობა: ,,ლოგოს პრესი“, თბილისი-2004. გვ1. http://dictionary.css.ge/content/critical-theory (ბოლო ნახვა-15.05.2020)

გზამკვლევი შესაბამისი უწყებების: საგარეო საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საერთაშორისო ან რეგიონალურ დონეზე გამოცდილების გაზიარების კუთხით თუ როგორ ვითარდება ეს პროცესები ამ ქვეყნებში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ზურაბ დავითაშვილი, „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია", გამომცემლობა: ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო". თბილისი-2003. წიგნში მოცემულია ის ძირითადი საკითხები, მიდგომები და თეორიები, რომლებიც თანამედროვეობის ორი უმნიშვნელოვანესი ფენომენის - ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის - არსის, თავისებურებებისა და მათ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ არის შემუშავებული მეცნიერებაში. წიგნში განხილული საკითხები დაყოფილია თორმეტ თემად. ეს თემებია: ძირითადი ცნებები: ერი, სახელმწიფო; ნაციონალიზმის არსი და ტიპოლოგია; ნაციონალიზმის თეორიები; ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები; გლობალიზაცია - დეფინიცია და არსი; გლობალიზაცია და სახელმწიფო; ეკონომიკური გლობალიზაცია; გლობალიზაცია, საერთაშორისო სისტემა და მსოფლიო წესრიგი; ნაციონალიზმი გლობალიზაციის ეპოქაში; ნაციონალიზმი და გლობალიზაცია: მომავლის პერსპექტივები და ნაციონალიზმი და ეთნოკონფლიქტები თანამედროვე საქართველოში.[4]

ვალერი მელიქიძე, „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია", გამომცემლობა: "სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი". თბილისი-2006. წიგნში წარმოდგენილია შემდეგი თემები: გლობალიზაციისა და მსოფლიო პოლიტიკის თეორიები (ორი საზოგადოებრივი სისტემის მაგალითზე), მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია (ამერიკის შეერთებული შტატები - "უხალისო იმპერია"),

[4] „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია". გვ.1.
http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=383 (ბოლო ნახვა-16.05.2020)

ეკონომიკური განვითარება და მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია (ტერორიზმი - მსოფლიო პოლიტიკის ახალი ძირითადი მოთამაშე?), ზოგიერთი გლობალური პრობლემა, როგორიცაა დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემები, ტექნოლოგიები და კულტურა მსოფლიო ურთიერთობებში. ნაშრომის დასკვნით ნაწილში საუბარია ერაყის ომის შემდგომ გლობალურ პოლიტიკაზე.[5]

George Modelski, Tessaleno Devezas, William R. Thompson, „Globalization as Evolutionary Process: Modeling Global Change". (February 2, 2008) წიგნში საუბარია გლობალიზაციის ტერმინზე, რომელმაც დროთა განმავლობაში საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა. წიგნის მთავარ მიზანს წარმოადგენს გლობალური ცვლილებების ანალიტიკური პრობლემები და მათი მარეგულირებელი წესები. წიგნი იყოფა ოთხ თავად: პირველ თავში საუბარია გლობალიზაციის ინტერპრეტაციაზე და ევოლუციურ პროცესებზე, მეორე თავში საუბარია მოვლენების ისტორიული განვითარების თანმიმდევრობაზე, მესამე თავში საუბარია თუ რა პროცესები მიმდინერეობს ეკონომიკური და ინფორმაციული ტექნოლოგიების კუთხით და მეოთხე თავი ეხება იმ გამოწვევებს , რომელიც დაკავშირებულია გლობალიზაციის პროცესების სირთულეებთა. ეს წიგნი საკმაოდ საინტერესოა გლობალიზაციის ფენომენით და სოციალური მეცნიერებების დაინტერესებული სტუდენტებისთვის.

Bob Reinalda, Ewa Kulesza, Hans-Dieter Klingemann, „The Bologna Process - Harmonizing Europe's Higher Education". **(July 1, 2006)** წიგნში საუბარია ევროპული უმაღლესი განათლების არეალის შექმნაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპული უნივერსიტეტების მობილობასა და თანამშრომლობას. ბოლონიის პროცესი იწყება 1999 წლის ბოლონიის დეკლარაციით .წიგნში საუბარია,

---

[5] „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია". გვ1. http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=346 (ბოლო ნახვა-16.05.2020)

განათლების მინისტრების შეხვედრებზე, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა და ასევე ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიც. ამ წიგნში ასევე განიხილება აზიასა და წყნარი ოკიანის ქვეყნებში განვითარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პოლიტიკის პროცესებს.

Benjamin Miller, „International and Regional Security (Routledge Global Security Studies)". (November 4, 2016) ეს წიგნი წარმოადგენს პროფესორ ბენჯამინ მილერის საუკეთესო ესეების კრებულს საერთაშორისო და რეგიონალურ უსაფრთხოების საკითხებზე. წიგნში გაანალიზებულია საერთაშორისო და რეგიონალური პოლიტიკის საკითხები, ყურადღება კი გამახვილებულია საერთაშორისო კონფლიქტებზე და მათ მოგვარების პროცესებზე. წიგნში ასევე წარმოდგენილია დიდი ძალის ინტერვენციის შედეგების ცვალებადობა და განსხვავებული ომის ტიპები, რომელიტ ც მიმდინარეობდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მაგალითისთვის მოვიყვანილია 2003 წლის ინტერვენცია ერაყში, 2011 წლის არაბული გაზაფხულის შედეგები და კონფლიქტი რუსეთსა და უკრაინას შორის. წიგნში ასევე განხილულია ამერიკულ სტრატეგიაში განხორციელებული ცვლილებების ახსნის მოდელები, განსაკუთრებით კი ყურადღება ეთმობა 2003 წლის ერაყში შეჭრის მიზეზებს. ეს წიგნი მნიშვნელოვანი იქნება საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოების შესწავლით დაინტერესებული ადამიანებით და ასევე საგარეო პოლიტიკის შემსწავლელთათვის.

პირველი თავი. გლობალიზაციის გეოპოლიტიკა და მისი გავლენა რეგიონული უსაფრთხოების პირობებზე - კავკასიის რეგიონის მაგალითზე

1.1. გლობალიზაციის არსი და რაობა და მისი გავლენა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაზე

21-ე საუკუნეში გლობალიზაცია გახდა ჩვენი ცხოვრების რეალური ნაწილი, რომელიც დღითიდღე უფრო მაყარად იკიდებს ფეხს მთელს მსოფლიოში. გლობალიზაციის პროცესი დაიწყო დასავლეთიდან და თითქმის მთელ აღმოსავლეთის დიდ თუ პატარა ქვეყანას შეეხო, ზოგს დადებითად ზოგს კი უარყოფითად. ამ პროცესში კი მსოფლიოში არსებული ზე-სახელმწიფოები ცდილობენ თვითონ შექმნან ახალი „თამაშის წესები" პოლიტიკაში. მათ მიაჩნიათ, რომ ეკონომიკის მთავარი სახელმწიფოები არიან თვითონ და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა არის ძალიან უმნიშვნელო ახალ მსოფლიო წესრიგის დამყარებაში. რეალისტური სკოლის წარმომადგენლებს, სტეფან კრასნერის და რობერტ გილფინს მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ სტაბილურობას განაპირობებს ის ფაქტორი, თუ სწორად იქნება გადანაწილებული ძალაუფლება სახელმწიფოებს შორის. ამ თეორიიდან გამომდინარეჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ დასუსტდება ჰეგემონი სახელმწიფო, რა თქმა უნდა დაეცემა ეკონომიკაც და მსოფლიოში შეიქმნება არასტაბილური გარემო. მაგრამ მეორეს მხრივ აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ საკმაოდ რთულია „ ძალთა სონასწორობის" დაცვა, იმ პირობებში, როდესაც მხოლოდ ერთი სახელმწიფოა ჰეგემონი და არ თმობს თავის პოზიციებს.

გლობალიზაცია მე-20 საუკუნიში ყველაზე აქტუალურ თემად ითვლება მას შემდეგ რაც 1990 წელს გამოქვეყნდა კ. ომენის წიგნი „ მსოფლიო საზღვრების გარეშე" და ასევე კრებული „ გლობალიზაცია: შემეცნება და საზოგადოებაა" . ამაში იგულისხმებოდა ის, რომ მსოფლიო ხალხები ერთ მსოფლიო საზოგადოებაში ერთიანდებოდნენ.[6]

[6] ნაშრომი:გლობალიზაციის პროცესი და ეროვნული კულტურები, მამუკა ჯორბენაძე გვ.93 https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_3503_1.pdf

გლობალიზაციის მთავარი დამახასიათებელია მსოფლიო წესრიგის ცვლილებები. სიტყვა გლობალიზაცია კი ინგლისურიდან მომდინარეობს და ნიშნავს დედამიწას.

საკმაოდ რთული განვსაზღვროთ, თუ როდის წარმოიშ გლობალიზაციის განმარტება, მაგრამ 1994 წელს უკვე გვხვდება მისი ახსნა ოქსფორდის სოციალურ ლექსიკონში. „ლექსიკონის მიხედვით, გლობალიზაცია არის თეორია, რომელიც ცდილობს შეისწავლოს გლობალურ კულტურათა სისტემის ჩამოყალიბება. ასევე საყურადღებოა, რომ ტერმინი ,,გლობალიზაცია ექნიკური მეცნიერებიდან არის ნასესხები. ინფორმატიკის ენაზე გლობალიზაცია ისეთი პროგრამული ბირთვის შემუშავებას ნიშნავს, რომელიც არ არის დამოკიდებული მომხმარებელი ქვეყნის ენასა და სტანდარტებზე“.[7]

იან შოლტე ტერმინ გლობალიზაციას განმარტავს შემდეგ ნაირად „როგორც პროცესებს, რომელთა მეოხებითაც სოციალურ ურთიერთობებს შედარებით ნაკლებად აფერხებს მანძილი და საზღვრები ისე, რომ ადამიანთა ცხოვრება მსოფლიოს, როგორც ერთი მთლიანობის ფარგლებში მიედინება. ამდენად, გლობალიზაცია თანამედროვე ტენდენციაა, რომლის გავლენითაც მსოფლიო– მრავალ ასპექტში და ძირითადად აჩქარებული ტემპით–ერთიან, საზღვრების არმქონე სოციალურ სფეროდ ყალიბდება.[8]

უნდა აღინიშნოს რომ გლობალიზაციას მრავალი ასპექტი გააჩნია, მაგალითად ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული,ფილოსოფიური და სოციალური ასპექტები. ძალიან მნიშვნელოვაანია თითოეულის სწორად

---

[7] იქვე. გვ.93.

[8] მარიამ აფრიაშვილი, ,,გლობალიზაციის გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე“. თბილისი -2013. გვ.1. http://intermedia.ge (ბოლო ნახვა-17.05.2020)

განხილვა, რადგან საზოგადოებას სწორი ფორმით მიეწოდოს ინფორმაცია გლობალიზაციის მოვლენებზე.

გლობალიზაციასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი შეხედულება არსებობს, ერთი შეხედულების თანახმად, გლობალიზაციის პროცესი ხელს უწყობს საერთაშორისო და მსოფლიო ეკონომიკის სწრაფ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ კი გლობალიზაციას გააჩნია საკმაოდ ნეგატიური პროცესები, რომელიც საკმაოდ დიდი პრობლემებს უქმნის, როგორც სახელმწიფოებს, ასევე მათ კულტურას და შეხედულებებს.

ზოგადად გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც ამარტივებს ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის და ამცირებს საზღვრებს. როგორც ზევით მოგახსენეთ 90 იანი წლებიდან ხდება ამ ტერმინის გამოყენება, და თავიდან მას განიხილავდნენ, ეკონომიკური შენაარსით, ხოლო ეკონომიკური კუთხით პირველი ვინც გამოიყენა ეს ტერმინი გახლდათ თეოდორ ლოვიტი. შემდეგ უკვე გლობალიზაციით აღწერდნენ მულტინაციონალურ ორგანიზაციებს.

ემანუელ რიხტერი, რომელიც გახლდათ სოციოლოგი და მეცნიერი მისი მოსაზრებით გლობალიზაცია „ეს არის გლობალური ქსელი, რომელმაც ადრე იზოლირებული და გაფანტული საზოგადოებები ერთი სამყაროს ურთიერთდამოკიდებულ ერთობად შეადუღა“.[9] საბოლოოდ კი გლობალიზაციის ტერმინი განმარტავდა იმას, რომ ეს იყო ერების და სახელწიფოების კვდომა, იქიდან გამომდინარე, რომ იშლებოდა ეროვნული საზღვრები.

---

[9] ინგა ხუციშვილი., ,,თემატური სემინარი 1 განათლების გლობალიზაცია“, თბილისი -2018. გვ.3-4. https://www.academia.edu(ბოლო ნახვა-17.05.2020)

მე-19 საუკუნის თითქმინს მეორე ნახევრიდან ისტორიაში გვხვდება გლობალიზაციის პატარ-პატარა ფორმები, ხოლო არსებობს უფრო ადრეული ფორმებიც, რომლის მაგალითად კი ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ 1850 წლის რომის იმპერია, რომელიც მზარდი აღმავლობის პროცესში იყო და მას სურდა გლობალური ბაზარი და რაც შეიძლება მეტი რესურსი. ხოლო ყოველივე ამან კი უკვე ხელი შეუწყო ნელ-ნელა თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

როგორც, ზევით უკვე ავღნიშნეთ გლობალიზაცია გულისმობს და აერთიანებს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და ქვეყნების ეკონომიკას მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან. დიდ სახელმწიფოებში მიმდინარე გლობალური პროცესები კი საკმაოდ დიდ გავლენას ახდენენ პატარა სახელმწიფოებზე, და ასევე ჰეგემონები ცდილობენ მაქსიმალურად ბოლომდე გამოიყენონ ყველა კუთხით პატარა ქვეყნებში არსებული რესურსები.

მარტინ ხორო მიიჩნევს, რომ „გლობალიზაციის არის ის, რასაც ჩვენ მესამე სამყაროში კოლონიზაციას ვუწოდებთ“, ანუ დღესდღეობით წამყვან სახელმწიფოებში მომხდარი კრიზისი ძალაუნებურად აისახება სხვა ქვეყნებზეც და დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს. გაჩნდა ისეთი ცნება, როგორიცაა "მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი", რისი ნათელი მაგალითია რამდენიმე წლის წინ ამერიკაში წარმოქნილი ფინანსური პრობლემა, რომელიც მთელ მსოფლიოს შეეხო. ამით მართლდება ენტონი გიდენსის მტიკიცება, რომ "გლობალიზაცია მსოფლიო სოციალური ურთიერთობების ისეთი ინტენსიფიკაცია, რომელიც დაშორებულ ადგილებს ისეთნაირად აკავშირებს, როცა ადგილობრივი მოვლენები ყალიბდება ათასობით მილის იქით მომხდარი მოვლენებით და პირიქით". დღეს იქნება ეს გამარჯვება თუ

მარცხი აღარ ეხება მხოლოდ ერთ რომელიმე ქვეყანას, არამედ საყოველთაო განსჯისა და შეფასების საგანი ხდება.“[10]

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რაც დასრულდა ცივი ომი მის შემდეგ მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესები, რაც გულისხმობს იმას, რომ სამყარო ისეთი უნდა გახდეს სადაც შესაძლებელი იქნება ყველას ცხოვრება მიუხედავად მათი შეხედულებებისა , ეთნიკური თუ ერუვნული ინტერესებისა.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლობალიზაციის თეორია მდგომარეობს იმაში, რომ მსოფლიოში მოიხსნას ყველანაირი საზღვრები სახელმწიფოებრივ ურთიერთობებში, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური განვითარეება, რაც გლობალიზაციის მთავარი დადებითი მახასიათებელია და სჭირდებათ სახელმწიფოებს მომავალი სწრაფი განვითარებისთვისა და მიზნების განსახორციელებლად.

1.2. გლობალიზაციის პროცესები სამხრეთ კავკასიაში

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, საქართველოს, უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი რომ გლობალიზაციის პროცესები, საკმაოდ კარგად აისახება მასზე.

საქართველო მდებარეობს აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე. რაც, საკმაოდ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ადგილია. დღეს ის განვითარებადი დემოკრატიული ქვეყანაა, რომელიც მიისწრაფვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ეკონომიკური გაძლიერებისკენ. ამისათვის მას სჭირდება ევროინტეგრაცია და შესაძლებლობები, გაუმკლავდეს

[10] ინგა ხუციშვილი., ,,თემატური სემინარი 1 განათლების გლობალიზაცია“, თბილისი -2018. გვ.4. https://www.academia.edu(ბოლო ნახვა-17.05.2020)

გლობალიზაციის გამოწვევებს. ისეთი განვითარებადი ქვეყნებისთვის, როგორიცაა საქართველო, საზღვრის გახსნის ერთადერთი გზა საერთაშორისო ბაზრებზე მოხვედრა და თავისი პროდუქციის გაყიდვაა. კავკასია გარდამტეხი წერტილია: ერთ მხარეს ნატოს წევრი სახელმწიფოები და ევროკავშირი, ხოლო მეორე მხარეს კი რუსეთი, ირანი და ჩინეთი. აშკარად ორი მკაფიო გეოპოლიტიკური ღერძი: ანკარა-თბილისი-ბაქო და მოსკოვი-ერევანი-თეირანი (შესაძლოა პეკინი). ამიერკავკასია ამ ღერძში საშიშ გზაჯვარედინზე მდებარეობს. საქართველომ აირჩია ევროინტეგრაცია და გადადგა პირველი ნაბიჯი გლობალიზაციისკენ და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას.

როგორც პატარა ქვეყანას, საქართველოს არ აქვს საკმარისი რესურსი საკუთარი პროექტების საინვესტიციოდ. გლობალიზაციის პროცესი ჩვენთვის შანსია. თუ ბაზარი გაფართოვდება, ეს მოიზიდავს უცხოელ ინვესტორებს, რაც ზრდის შემოსავალს. თუ ეს ყველაფერი კარგი წარმოდგენა იქნება პოლიტიკის შემქმნელთა მიერ, დაძაბულობა მარტივად მოიხსნება და შეიქმნება კომფორტული გარემო რეფორმირებისა და ბიზნესის კეთებისათვის. გლობალიზაციის ნეგატიური გავლენის ნეიტრალიზება პოლიტიკის შემქმნელებზეა დამოკიდებული. მათ უნდა გაითვალისწინონ, თუ რა საფრთხეებს უქმნის ქვეყანას გლობალიზაციის უარყოფითი მხარე. თუმცა, ადამიანთა ერთ ნაწილში არსებობს დაძაბულობა, რომლებსაც ეშინიათ გლობალიზაციის, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი სწორად არ არიან ინფორმირებულნი. ხალხის ინფორმირებულობა გლობალიზაციის მასიური პოზიტიური ასპექტების შესახებ გაამარტივებს პროცესს. შვეიცარიის ეკონომიკის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ინდექსი 2011 წელს, სადაც საქართველო 156 ქვეყანას შორის 74-ე ადგილზე იყო. ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსის საუკეთესო მაჩვენებელი, საქართველოსთვის, პირველ რიგში იყო, რეგიონალურ დონეზე იყო.

გლობალიზაციის პროცესი ბუნებრივად იწვევს ხალხებისა და კულტურულ ასიმილაციას და ზოგჯერ იმათ სრულ გაუჩინარებას, რომელთაც არ შეუძლიათ ადეკვატური იმუნიტეტის წარმოქმნა. დღეს გლობალიზაცია არის საერთაშორისო გარემო, რომლის წინაშე ყველა სახელმწიფომ უნდა ჩააბაროს გამოცდა, რომ შეინარჩუნოს საკუთარი თვითმყოფადობა. ერი, რომელსაც გამოცდის ჩაბარება არ შეუძლია, დაკარგავს სახელმწიფოებრიობას. და ვინც შეძლებს შეინარჩუნოს თავისი სახელმწიფოებრიობა და ასევე ჩაერთოს გლობალურ ინფორმაციაში, სავაჭრო სივრცეში, მიაღწევს მიზანს. ეს არის ასევე საქართველოს მიზანი. ქართველმა პოლიტიკოსებმა შეიმუშავეს სტრატეგია - საკუთარი მიდგომა გლობალიზაციასთან დაკავშირებით. გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია და გაგრძელდება მანამ, სანამ ადამიანის პროგრესი გაგრძელდება. ამიტომ, უკეთესია რაც უფრო ადრე დასრულდება საქართველოში რეფორმირების პროცესი გლობალიზაციის ასპექტებით, მით უფრო მალე მივიღებთ განვითარებულ და ძლიერ სახელმწიფოს.

გლობალიზაციის ხანამ მოიტანა ცვლილებები ქვეყნის მართვის სტილში. თუ გლობალიზაციის ეპოქის შემდეგ (გლობალიზაციის ეპოქამდე) აშკარად არ იყო გამიჯნული საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ახლა ქვეყნის პოლიტიკის შემუშავება დაყოფილია საშინაო და საგარეო პოლიტიკად. საშინაო პოლიტიკა უკავშირდება სახელმწიფოს შიგნით არსებულ პრობლემებს (კარგი ინფრასტრუქტურა, სუფთა წყალი, დასუფთავება, ბიუჯეტის გამოყოფა, გადასახადების შეგროვება და სხვა). საგარეო პოლიტიკა დაკავშირებულია საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი თავის წარმოჩენასა და იმიჯთან. გლობალიზაციის ეპოქაში გლობალიზაციის გავლენის გარეშე არ არსებობს პოლიტიკის შემუშავება, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში. რომელი სახელმწიფოც მიჰყვება მარტივად გლობალიზაციის გამოწვევებსა და ეროვნულობის შენარჩუნების საკითხს, ის მოიპოვებს საერთაშორისო ასპარეზზე ძლიერი ქვეყნის იმიჯს. შეუძლებელია გლობალიზაციისთვის

თავის არიდება. მასზე უარის თქმა ნიშნავს განუვითარებლობასა და მომავლის არქონას.

განვითარებისთვის საჭირო ფაქტორების გაცილებით უფრო სპეციფიკური ჩამონათვალი უფრო გრძელი და შიშის გამომწვევია: შესაბამისი გაცვლითი და საპროცენტო განაკვეთები, პროდუქტიულობის გაზრდა, ეფექტური დაეგულირება, მონეტარული, ფინანსური, სასამართლო, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ინსტიტუტები, ფისისტური და სოციალური ინფრასტრუქტურა, კარგად მართული ადგილობრივი თვითმმართველობა, უფრო მეტი ეფექტურობა მთავრობის რუტინული აქტივობებისთვის, გამჭვირვალობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მთავრობის ანგარიშვალდებულების და დემოკრატიული პოლიტიკის გატარების ეფექტური საშუალებები. აქამდე მიღწევა იმ ადგილიდან, სადაც განვითარებადი ქვეყნების უმეტესი ნაწილი იმყოფება, პოლიტიკოსებისთვის რთულ გამოწვევად რჩება. აქედან გამომდინარე საქართველოს კიდევ ბევრი ნაბიჯი აქვს გადასადგმელი გლობალიზაციის პირობებში, რომდღევანდელზე უფრო წარმატებული განვითარებადი სახელმწიფო გახდეს.

რაც შეეხება აზერბაიჯანს გლობალიზაციამ მიაღწია ამ რესპუბლიკას და ქვეყანა ახლა ჩართულია ამ მრავალმხრივ პროცესში. აზერბაიჯანს, როგორც პატარა ქვეყანას, პოლიტიკური აქტივობის გაზრდილი ხარისხის მინიჭებით საერთაშორისო ასპარეზზე საშუალება ეძლევა გააძლიეროს თავისი პოლიტიკური გავლენა მსოფლიოში და უზრუნველყოს კეთილდღეობა თავისი მოქალაქეებისთვის და აყვავებული მომავალი მთელი ქვეყნის მასშტაბით, დიდი ეკონომიკური პროექტებითა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან პარტნიორობით. თუმცა, მიუხედავად ამისა, გლობალიზაცია საფრთხეს უქმნის აზერბაიჯანული ერის ყველაზე დაუცველ/მოწყვლად

წერტილს, კერძოდ, საფრთხეს უქმნის მის კულტურას. მიმდინარე გამოკვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოკითხულთა უმრავლესობა იზიარებს ამ მოსაზრებას. კვლევის შედეგები, ისევე როგორც თანამედროვე აზერბაიჯანული საზოგადოების კვლევა, საშუალებას იძლევა დავამტკიცოთ, რომ აზერბაიჯანული კულტურული თვითმყოფადობა გლობალიზაციის გავლენის ქვეშ იმყოფება. ის ქვეყნები, სადაც გლობალიზაციის გავლენა ადგილობრივ კულტურებზე ყველაზე ძლიერია, არიან ისინი, სადაც მთავრობა შედარებით ან აბსოლუტურად სუსტია, არა მხოლოდ გლობალიზაციის ტენდენციებთან დაპირისპირებაში, არამედ ადგილობრივი კულტურის გასაძლიერებლად, კულტურული ძეგლების მოსავლელად და დასაცავად და კულტურული მემკვიდრეობის განსავითარებლად საჭირო ზომების მიღებაშიც.

უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანი როგორც საქართველო ახალი დამოუკიდებლობის ისტორიის მქონე ახალგაზრდა ქვეყანაა. XXI საუკუნეში აზერბაიჯანის რესპუბლიკა ისწრაფვის დაადასტუროს თავისი დამოუკიდებლობა, ჩამოაყალიბოს დემოკრატიული სახელმწიფო და შექმნას სამოქალაქო საზოგადოება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკით. ამავდროულად, ქვეყანა განიცდის გარდამავალ პერიოდს და, შესაბამისად, იგი მრავალი პრობლემის წინაშე დგას სხვადასხვა სფეროში, რაც პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას ახდენს აზერბაიჯანულ კულტურაზე. კორუფციის დონე რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში; კრიმინალური ელემენტები, როგორიცაა გატაცება, მკვლელობა, ტრეფიკინგი და შანტაჟი, ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა სოციალურ ფენებში, მათ შორის, სამთავრობო აპარატის მაღალი რანგის თანამდებობის პირებში. ამასთან, აზერბაიჯანი 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა სომხეთთან არაღიარებული ომის პირობებში, მთიანი ყარაბაღის ტერიტორიასთან დაკავშირებით. ლტოლვილთა პრობლემამ და სხვა ბევრმა შეშფოთებამ

შეასუსტა მთავრობის მთავარი საზრუნავი, რომელიც უკავშირდებოდა კულტურის მდგომარეობას. მთავრობის მცდელობები, შეექმნა ერთიანი ძლიერი საზოგადოება, წარუმატებლად დასრულდა, რადგან თანამედროვე აზერბაიჯანული საზოგადოება სეგმენტურად, დანაწევრებულად გამოიყურება და მის სხვადასხვა სეგმენტს შორის ერთიანობა და გაგება არ არსებობს. აზერბაიჯანულ საზოგადოებაში დომინირებს ლოკალიზმი, მაგრამ არა როგორც ეროვნული ერთიანობა. ზემოთ ხსენებულ ფაქტორებს აქვთ განსაკუთრებული გავლენა აზერბაიჯანული საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობაზე. ადგილობრივი კულტურის შესუსტებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის განათლების დაბალი დონე აზერბაიჯანში. მორალური/კულტურული სიმდიდრის გავრცელება სრულდება საგანმანათლებლო სისტემის, მასმედიისა და კულტურული ინსტიტუტების საშუალებით, როგორებიცაა მუზეუმები, არქივები და ბიბლიოთეკები. შესაბამისად, საზოგადოების ზნეობრივი ცხოვრების დონე დამოკიდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობასა და განათლების ხარისხზე. ცნობილია, რომ საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემა ყველაზე ეფექტური იყო მსოფლიოში. თუმცა, სსრკ-ს დაშლის შემდეგ, საშუალო სკოლის ბევრი განათლებული პედაგოგი და უნივერსიტეტის ლექტორი აზერბაიჯანიდან ემიგრაციაში წავიდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში, უკეთესი ცხოვრებისა და სამუშაო პირობების იმედით.

აზერბაიჯანის შემთხვევა დღესდღეობით ადამიანთა უმეტესობა არ არის განათლებული, გარდა დედაქალაქში კონცენტრირებული მცირე ნაწილისა. სოციალურ სფეროში დიდი პრობლემებისა და გაჭირვების გამო (დაბალი ხელფასი, უმუშევრობა და სიღარიბე), აზერბაიჯანელთა უმეტესობამ, განსაკუთრებით, ახალგაზრდებმა, უნდა იფიქრონ ყოველდღიური საარსებო საშუალებებსა და ძირითად მოთხოვნილებებზე, როგორიცაა საკვები, ტანსაცმელი, კომუნალური მომსახურებების გადასახადები და ა.შ.

შესაბამისად, თუ ადამიანი არ იკვებება, კარგად არ არის ჩაცმული, მას არ შეუძლია განათლებას მიუძღვნას თავი ან იფიქროს თავისი პროფესიული ფონისა და უნარების გაუმჯობესებაზე. ამრიგად, აზერბაიჯანელები თავიანთ ცხოვრებაში წააწყდნენ არსებით სასიცოცხლო პრობლემებს, რომელთაგან მნიშვნელოვანია დაბალი შემოსავალი, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ საზღვარგარეთ კვალიფიციური განათლების მიღებას ან უბრალოდ ცოტა დრო აქვთ განათლებისთვის და მათ დაკარგეს ინტერესი წაიკითხონ საკუთარი მწერლებისა და პოეტების შედევრები, როგორებიცაა ნიზამი განჯავი ან ჰუსეინ ჯავიდი, ან მოუსმინონ ფიკრატ ამიროვის ან უზეირ ჰაჯიბაოვის ოპერებს და ეს იწვევს ავთენტური აზერბაიჯანული კულტურის დავიწყებას. ეკონომიკის გაზრდით, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, მთავრობას შეუძლია ხელი შეუწყოს ხალხს, დაიკმაყოფილონ თავიანთი ძირითადი მოთხოვნილებები ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, რაც უდავოდ გამოიწვევს საზოგადოებრივი კულტურული საქმიანობის მიმართ ინტერესის ზრდას. მეორე მხრივ, დასავლური კულტურის ინტენსიური გავრცელება რადიოდან ცნობილი სიმღერების, ტელევიზორიდან ბლოკბასტერებისა და საპნის ოპერების საშუალებით, ახალგაზრდებისთვის მიმზიდველს ხდის თანამედროვე დასავლურ კულტურას, დასავლეთის ცხოვრებას, დასავლეთის ხალხის იდეალებსა და პრობლემებს. ისტორიული, რელიგიური არქიტექტურული ძეგლებისადმი სახელმწიფო/სამთავრობო ზრუნვა სუსტია. მრავალი არქიტექტურული ძეგლი წლების განმავლობაში არ შეკეთებულა. დედაქალაქ ბაქოში თანამედროვე მშენებლობებზე მთავრობის კონტროლი მნიშვნელოვნად დაბალია, უმეტეს ნაწილებში კი იგი საერთოდ არ არსებობს. ქალაქი სწრაფად იცვლება; ნადგურდება ისტორიული მნიშვნელობის ძველი შენობები და ეს განადგურება არა შემთხვევით, არამედ ზოგად ეფექტს ატარებს. ახალი კონსტრუქციები შენდება ისტორიული მნიშვნელობის მქონე შენობების ადგილზე. გლობალიზაციის ერთ-ერთი ნიშანი შეიძლება დავინახოთ

აზერბაიჯანში უცხოური სამშენებლო კომპანიების საქმიანობაში. ამ კომპანიების მიერ აშენებული შენობები უცხოა ავთენტური აზერბაიჯანული არქიტექტურული სტილისთვის. გამოკითხულთა 66% ჩივის, რომ მათი დამოკიდებულება ბაქოში თანამედროვე მშენებლობების მიმართ უარყოფითია, რადგან ისინი არ შეიცავს აზერბაიჯანულ ტრადიციულ კულტურულ ელემენტებს, აშენებულია ექსკლუზიურად დასავლურ სტილში, არ არის ხარისხიანი და ამით ქალაქი კარგავს თავის "სახეს". შესაძლოა აზერბაიჯანში გლობალიზაციის ძალაუფლების ყველაზე აშკარა გამოვლინება თანამედროვე აზერბაიჯანელების ჩაცმის კულტურაში იგრძნობა. 1991 წლიდან, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ბევრი ევროპული და ამერიკული ტანსაცმლის ბრენდი ჩავიდა აზერბაიჯანში და გახსნა თავისი მოდური მაღაზიები და მიიზიდა მომხმარებლები ჯინსებითა და გუნელ კერიმოვას კაბებით. ძირითადად, ქალაქის მაცხოვრებლები ყიდულობენ ისეთ ტანსაცმელს, რომელიც პოპულარობით სარგებლობს თითქმის ყველა ასაკის ადამიანში. თუმცა, ყველა არ უჭერს მხარს ამ ტიპის ჩაცმულობას. მოხუცებს და განსაკუთრებით რელიგიით შთაგონებულ ახალგაზრდებს არ მოსწონთ აზერბაიჯანელთა ტანსაცმლის გადაჭარბებული ვესტერნიზაცია და ამტკიცებენ, რომ მსგავსი ტიპის კაბები ეწინააღმდეგება ავთენტურ აზერბაიჯანულ კულტურას, მენტალობასა და ტრადიციას.

რაც შეეხება სომხეთს და თუ რა გავლენა იქონია მასზე გლობალიზაციის პროცესმა საკმაოდ მნიშვნელოვანია განვიხილოთ ძირითადი ფაქტორები. სომხეთი თავისი მდებარეობიდან გამომდინარე და ასევე პოლიტიკური კურსით რუსეთის ფედერაციაზეა დიდწილად დამოკიდებული. მსოფლიომ რამდენჯერმე განიცადა რომელიმე კონკრეტული ცივილიზაციის ან ფილოსოფიის გავლენა იმდენად, რომ მოხდა გარკვეული შემობრუნება ან ცვლილებები კაცობრიობის განვითარებაში. ყოველთვის არა ეს ცვლილებები

სამუდამო და არ იმკვიდრებდა ფექხს, თუმცა ეს პროცესი იყო. ესეცაა სომხეთის შემთხვევაში.

სომხეთის რესპუბლიკის (RA) ინტეგრაცია მსოფლიო სავაჭრო და ეკონომიკურ სივრცეში, რომელიც 1991 წლის შემდეგ დაიწყო, არ იყო მარტივი პროცესი. ამ პროცესის პრიორიტეტული მიმართულებაა მიზნობრივი რეფორმების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავს სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზაციას, ბაზრების გახსნას და თავისუფალი კონკურენციის პირობების შექმნას. მიღებული ზომების შედეგად, ქვეყნის ეკონომიკა მიუახლოვდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) სტანდარტებს.

სომხეთი, როგორც ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო, მან გაიარა განვითარების დიდი პერიოდი. ამ დროის განმავლობაში, სომხეთმა და მოგვიანებით სომხებმა, სახელმწიფოებრიობის დროებით დაკარგვის გამო, შეძლეს საკუთარი ცივილიზაციის მახასიათებლების შენარჩუნება, მაგრამ ამავე დროს ურთიერთობა გააჩნდათ სხვა ცივილიზაციებთან.

ეს არ იქნება სიახლე, რომ განვითარება დაფუძნებულია კულტურათა ურთიერთობებზე, რადგან მსოფლიოში არცერთ ცივილიზაციას არ შეუძლია თვითრეპროდუქცია მოახდინოს და მთელი კაცობრიობის პროგრესი. ერთ დროს, ელინისტური ხანა დაემთხვა სომხური სახელმწიფოს მწვერვალს. დიდმა სომხეთმა არ დაკარგა საკუთარი კულტურული კომპონენტი, მაგრამ ელინური ეპოქის შეძენამ მხოლოდ მომგებიანი მიიღო: სომხეთის ელინარული პრინციპის მიხედვით ქალაქების თვითმმართველობამ ხელი შეუწყო ხელოსნობის სწრაფ განვითარებას და ურბანული გარემოს გაფართოებას.[11]

[11] Артур Акопян, ИАПС Антитопор, ,,Армения и глобализация“, ст.1. https://antitopor.com/articles/armeniya-i-globalizaciya.html

მსოფლიო კულტურის ტენდენციების მიღება არ არის დანაშაული ერის წინააღმდეგ. დანაშაული იქნება უცხო კულტურით საკუთარი კულტურის შეცვლა. აქედან მოდის დიდი პასუხისმგებლობა სომეხი ხალხის სომხური ცივილიზაციის განსაკუთრებული კომპონენტის შენარჩუნებაში, დროისა და განვითარების მოთხოვნებთან ერთად. ამ პროცესზე პასუხისმგებელია როგორც ხელისუფლება, ისე საზოგადოება. სომხეთმა შეძლო გლობალიზაციისთვის აეწყო ფეხი, თუმცა საკმად დიდი სიფრთხილით და წინ დახედულობით.

1.3. კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების კონტურები და „რბილი ძალის“ ეფექტი

80-იან წლებში ამერიკელმა მეცნიერმა ჯოზეფ ნაიმ მსოფლიოს გააცნო ყველასათვის ახალი ტერმინი „ რბილი ძალა“, რააც შემდეგ ნაირად განმარტა ““რბილი ძალა” სახელმწიფოს უნარია, ხისტი ძალის გამოყენების გარეშე დადებითი განწყობებისა და დამოკიდებულებების შექმნით გავლენა მოახდინოს საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებზე. ეს არის კულტურული ძალა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოები ახდენენ საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზებას. იგი ეფუძნება სამ ძირითად წყაროს: კულტურა, პოლიტიკური ღირებულებები და საგარეო პოლიტიკა. პრინციპული და მნიშვნელოვანი ის არის, რომ რბილი ძალა იმიტომაც არის კულტურული ძალა, რომ მისი გამოყენება მხარეთა ორმხრივი ნების შედეგად ხდება და არა ძალადობრივი და თავს მოხვეულია.”[12]

[12] ალექსანდრე პეტრიაშვილი, ,,რბილი ძალა: პირდაპირი დამიზნებით პარლამენტში“, თბილისი-2018. გვ.1. https://forbes.ge/blog/372/pirdapiri-damiznebiT-parlamentSi

როდესაც ამ ტერმინის დამკვიდრება ხდებოდა , ეს იყო პერიოდი , რა დროსაც საბჭოთა კავშირი იშლებოდა, ამიტომ სულ არ აწყობდა რუსეთს რბილი ძალის პოლიტიკა.

რბილი ძალის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფომ უნდა შეძლოს ხისსტი ძალის გამოყენების გარეშე მოახერხოს სხვადასხვა მიზნის მიღწევა სხვა ქვეყანასთან მიმართებაში.

რბილ ძალაზე საუბრის დროს აუცილებელია შევეხოთ, როსეთს და მის დამოკიდებულებას კავკასიის რეგიონში.

რუსეთისთვის რბილი ძალის გამოყენება თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის სულაც არ არის სიახლე და მას იგი ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის დროიდან იყენებდა.[13] ეს მაშინ როდესაც „ჩამოყალიბდა საერთო პან-სლავური იდეა და წინ წამოიწია რელიგიური მოტივებიც – რომელთა დამცველის სტატუსიც ქუჩუკ-კაინარჯის 1774 წლის ზავის შედეგებიდან გამომდინარე, რუსეთმა კიდევ უფრო გაიმყარა (წარმოადგენდა რა, რბილი ძალის უმთავრეს ბაზისს).“[14] რბილი ძალა დროის განმავლობაში უფრო დაიხვეწა და მრავალფეროვანი გახდა სადაც ეკონომიკური კუთხით შეიცვალა რელიგიური მოტივები , ესყველაფერიკი რა თქმაუნდა განპირობებული იყო კომუნიზმური წყობით.

მნიშვნელოვანია რუსეთის თანამედროვე რბილი ძალის განხილვა, რაც აღსაღნიშნავია რუსეთის დემოკრატიის განსაზღვრება, ვითომ იგი არც დემოკრატიას უარყოფს, მაგრამ ამავდროულად მას თავისი შეხედულობები

---

[13] გიორგი კობერიძე, ,,რუსული რბილი ძალა სამხრეთ კავკასიაში“, თბილისი-2018. გვ.1. https://foreignpolicycouncil.com/2018/12/05/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%94/

[14] იქვე. გვ.1.

გააჩნია დემოკრატიულ წყობასთან დაკავშირებით. ეს ყოველივე გამოიხატება იმაში, რომ მათი დამოკიდებულება მორგებულიაა რუსი პოლიტიკოსების ირგვლივ არსებულ სურვილებზე და სულ არ ითვალისწინებენ იმას, თუ მსოფლიოში როგორ აღიქვავენ ადამიანები დემოკრატიულ პროცესებს. მათ გააჩნიათ შიდა სახელმწიოფბრივი წესები და სულ არ აინტერესებთ იგი შეესაბამება თუ არა დემოკრატიას. მაგალითისთვის კი შეგვიძლია მოვიყვანოთ მათი დამოკიდებულება ლიდერის არჩევასთან დაკავშირებით, რა დროსაც შეუძლით რომ ერთ პიროვნებას შეუზღუდავი ვადით შეეძლოს უფლება მოსილების მინიჭება. საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რბილი ძალის ეს ელემენტი საკმაოდ მიმზიდველია როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის ასევე ყოფილი სოციალისტური და იმ სახელმწიფოს ლიდერებისთვის, რომლებიც აშშ-ის და ევროპის დახმარებით პროგრესირებენ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დემოკრატიზაციის ტალღას მოჰყვა სამოქალაქო დაპირისპირებები და რევოლუციები, რაც რა თქმა უნდა დაკავშირებული იყო პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებსთან. ტრანზიციის პროცესისათვის კი დამახასიათებელია საფრთხეები, სადაც შესაძლებელია ჰიბრიდული რეჟიმების რეგრესირება და ავტორიტარული მართველობების ჩამოყალიბება. ეს ყველაფერი კი ძაალიან აწყობს რუსეთს.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია განვიხილოთ რელიგიური ფაქტორები. რომლის მიხედვითაც „რუსეთი წარმოადგენს ერთგვარ მესიანისტურ, ქრისტიანული რელიგიის დამცველ, წმინდა ძალას, მით უფრო დასავლეთთან შედარებით, რომელიც თითქოს დეკადანსის გზაზეა დამდგარი. რუსულ პროპაგანდას აქვს ორი მიმართულება: ის, რომ ევროპასა და აშშ-ში ყველაფერი ბევრად უფრო ცუდადაა, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია და ის, რომ რუსეთი მიუხედავად თავისი სირთულეებისა, მორალისა და ზნეობის უკანასკნელი

ბასტიონია. ცხადია, აღნიშნული მითი მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების დამახინჯებით, მანიპულაციებით, დეზინფორმაციითა და ხშირად უბრალო ტყუილებით მიიღწევა. მეტიც, რუსეთი ცდილობს მუდმივად წარმოაჩინოს ეროვნული და რელიგიური იდენტობის დაკარგვის საფრთხე, რაც თითქოს მცირე სახელმწიფოებს ემუქრებათ დიდ ალიანსებში გაწევრიანების შემთხვევაში. რთული ისტორიისა და მიმდინარე კონფლიქტის კერების მქონე საზოგადოებებზე, აღნიშნული რიტორიკა ცალკეულ შემთხვევაში ეფექტიანად მოქმედებს."[15]

რუსეთი ცდილობს შავ-თეთრი პროპაგანდით , თავი წარმოაჩინოს, რომ იგი არის ვითო, თავისი ტრადიციების დამცველი და კიდევაც ახერხებს ამას მედიის საშუალებით. მას აქვს რამოდენიმე ტელევიზია, რომელიც მხოლოდ იმას ტირაჟირებენ რასაც სახელმწიფო ორგანოები კარნახობენ.

რუსეთის რბილი ძალის მიზანია ხელი შეუწყოს დეზინფორმაციის გავრცელებას კულტურული, რელიგიური თუ ეთნიკური მიმართულებით. ისინი ხალხს მცდარ ინფორმაცია აწვდიან და დროთა განმავლობაში ხალხი იჯერებს ყოველივე არაასწორს და რუსეთის ხელისუფლება აღწევს სასურველ შედეგს.

რუსეთი რბილი ძალის ინსტუმენტად ასევე იყენებს არასამთავრობო სექტორების განვითარებას , რომელებიც განწყობილები არიან პრორუსულად, რადგან ისინი არიან რუსეთის ინტერესების გამტარებლები და მარტივად ახდენენ ადგილობრივი მოსახლეობის რეკრუტირებას და მათთან ერთად ეწევა სახელმწიფო ორგანოების პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. ასევე

[15] გიორგი კობერიძე, ,,რუსული რბილი ძალა სამხრეთ კავკასიაში", თბილისი-2018. გვ.1. https://foreignpolicycouncil.com/2018/12/05/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%94/

უნდა ავღნიშნოთ სოციალური ქსელებში არსებული კამპანიები, რომლებიც ემსახურება მთელი დიდი „ ტროლების“ არმიით პრორუსული განწყობილების შექმნას მოსახლეობაში არა მარტო რუსეთში არამედ კავკასიასა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

საერთაშორისო ურთიერთობებში საინფორმაციო ომი და რუსული პროპაგანდა კვლავ აქტუალურ თემად რჩება, ისევე, როგორც საქართველოში. ნათელ მაგალითად კი ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ აშშ-ის არჩევნები სადაც საკმაოდ ხისტად ჩაერია რუსეთი, რამაც საკმაოდ დიდი გავლენა იქონია შედეგებზეც. ამიტომ ევროპული სახელწიფოები სრულად ათვიცნობიერებენ რუსეთიდან მომავალ საფრთხეებს და შესაბამისი ზომების მიღებას ცდილობენ.

რუსული რბილი ძალის სახელმწიფოებრივი პროპაგანდა უკვე დიდი ხანია საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს. რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ იყენებს რბილი და ხისტი ძალის ნაწავს. ამიტომ აუცილებელია განვიხილოთ თუ რას უნდა ველოდოთ მომავალში ჩვენი მეზობელი სახელმწიფოსგან.

“რუსეთის რბილი ძალის მახასიათებლები საქართველოში სტაბილურია. ძირითადად, რბილი ძალის გამოყენება ორ კატეგორიაში შეგვიძლია მოვაქციოთ - 1. საქართველოს კულტურული (ღირებულებები და წეს-ჩვეულებები), ისევე როგორც ისტორიული კავშირები რუსეთთან 2. დასავლური პოლიტიკური ღირებულებები რუსეთის ე.წ. „რეალპოლიტიკის“ (ძალის პოლიტიკა) წინააღმდეგ.“[16]

რუსეთის რბილი ძალის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია რელიგიური წარმოდგენები, რადგან საქართველოს ქრისტიანულ და რელიგიურ წრეებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ამიტომ კრემლი

[16] გიორგი ლომთაძე, ,,რუსეთის რბილი და ხისტი ძალა საქართველოს წინააღმდეგ“, თბილისი-2017. გვ.1. https://idfi.ge/ge/russias_soft_and_hard_power_in_georgias

ცდილობს, რომ აჩვენოს ქართველ მოსაახლეობას, თუ როგორ იცავს ტრადიციულ ღირებულებას. ამ ყოველივეს კი ქართველი ხალხი აღიქვავ ისე, რომ ვითომ რუსეთი არის ჩვენი მეგობარი და დასავლეთი ჩვენი მტერი, ვითომდა დასავლეთს სურდეს ჩვენი ქრისტიანობის წართმევა.

რუსეთის ხისტი ძალა საქართველოში მიმართულია იმისკენ, რომ ხალხში შიში და დაძაბულობა შემოიტანოს. მაგალითად საზღვრები უკანონოდ მიიტაცოს და სამხედრო წრთვნები ატაროს, ეს ყოველივე კი იმას მიანიშნებს, რომ რუსეთი ნებისმიერ დროს მზადაა სომარი მოქმედებისთვის.

საბოლოოდ რუსეთ- საქართველოს ურთიერთობაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანას ნამდვილად არ გააჩნია იმის რესურსი, რომ რუსეთი ხისტ ძალას დაუპირისპირდეს, აქედან გამომდინარე, ჯობს, რომ რუსეთის მიერ გამოყენებულ რბილ ძალასტან სწორი ბრძოლის მეთოდები შეიმუშაოს სახელმწიფო ორგანოებმა, რადგან ხელი შეუშალონ რუსული პროპაგანდის და დეზინფორმაციების გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს მერე მნიშვნელოვანი განვიხილოთ, რუსეთ-სომხეთის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის შემდეგ.

მას შემდეგ რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, სომხეთი სულ დილემის წინაშე იდგა, მისთვის უსაფრთხოება უფრო მნიშვნელოვანი იყო თუ სუვერენობა. იგი უსაფრთხოების ნაკლებობას, განიცდიდა იმიტომ , რომ მას მეზობელ აზერბაიჯანთან ომი ქონდა მთიანი ყარაბაღის გამო, ამ დროს კი რუსეთი იყო ერთადერთი ძალა სტრატეგიული პარტნიორი და უსაფრთხოების ნაწილობრივ გარანტი სომხეთისთვის. მას შემდეგ რაც სომხეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და რუსეთი მისი მთავარი საყრდენი გახდა, ესეთი ურთიერთობა ნელ-ნელა ძირს უთხრიდა და რისკის ქვეშ აყენებდა სომხეთის სუვერენიტეტს და დამოიკიდებლობას.

რუსეთი ნელ-ნელა ეუფლებოდა წამყვან ეკონომიკურ სექტორებს , და სომხეთი უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდა რუსეთზე, რუსეთი კი აძლიერებდა კონტროლს სომხეთზე.

სამხრეთ კავკასიაში, სოხმეთი არის რუსეთის ერთადერთი მოკავშირე სადაც განთავსებულია, მისი სამხედრო ბაზა და არის უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი,რომელსაც რუსეთი უდგას სათავეში,ასევე შეუართდა ბოლო წლებში ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს სადაც რუსეთი არის დომინანტური როლის შემსრულებელი.[17]

ბოლო წლებში მიუხედავად ასეთი კარგი ურთიერთობისა, რუსულ სომხურ ურთიერთობაში შეიმჩნევა, კრიზისი. ალბათ ეს ყველაფერი იმან განაპირობა, რომ რუსეთიმა ნელ-ნელა მოიპოვა კონტროლი სომხეთის ენერგეტიკაზე, ტელეკომუნიკაციის სექტორზე, სამთო მრეწველობაზე და უკვე სარკინიგზო ქსელზეც. „ისევე როგორც სხვა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების შემთხვევაში, არის ენერგოუსაფრთხოების დათმობა რუსული ბუნებრივი გაზის სუბსიდირებული იმპორტის სანაცვლოდ. დამატებითი მოწყვლადობა გამოიწვია იმ ფაქტმა რომ რუსეთის დიდ ქალაქებში დასაქმებაზე დამოკიდებული იყო მრავალი სომეხი შრომითი მიგრანტი და სეზონური მუშა, რომლებზეც მოდიოდა სომხეთში საზღვარგარეთიდან შესული ფულადი გზავნილების დიდი წილი.“[18]

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი სომხეთი უსაფრთხოების გარანტი იყო, მან ყარაბაღის კონფლიქტში ორივე მხარს მიყიდა იარაღი. და ისევ აგრძელებს

[17] რიჩარდ გირაგოსიანი, ,,სომხეთ-რუსეთის ურთიერთობები: შემცირებული სარგებელი“, თბილისი- 2017. გვ.1. https://ge.boell.org/ka/2017/10/16/somxet-rusetis-urtiertobebi-shemcirebuli-sargebeli

[18] იქვე. გვ.1.

აზერბაიჯანისთვის ძვირი შეიარაღების მიწოდებას. ასეთმა პოლიტიკამ კი რა თქმა უნდა გააღიზიანა სომხეთი.

სომხეთისთვის კიდევ ყველაზე გასაბრაზებელი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ რუსეთმა დაჟინებით მოთხოვა ერევანს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი მოაგვაროს დიპლომატიური მოლაპარაკებებით. ამ მოლაპარაკებაში რა თქმა უნდა რუსეთს მიენიჭებოდა მნიშვნელოვანი როლი და სწორედ ეს სურდა მასაც.

1.4. ინტერნაციონალიზაციის არსი და განათლების გლობალიზაციის ფენომენი

მსოფლიოში ყველაფერი საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითაარდება, ამიტომ ცხოვრება მოითხოვს, ფეხი ავუწყოთ ახალ შესაძლებლობებს, ეს ყველაფერი კი თანამედროვე განათლებაშიც საკმაოდ შესამჩნევია.

უნდა ვთქვათ, რომ მსოფლიოში არსებულ ყველა სფეროში საკმაოდ დიდი კონკურენცია არსებობს, ასევე ერთ-ერთი სფერო გახლავთ განათლება. განათლების ინტერნაციონალიზაცია საკმაოდ მნიშვნელოვან ფენომენს წარმოადგენ დღევანდელობასი, რაც აუცილებელია საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესებისათვის.

ინტერნაციონალიზაცია გახლავთ საერთაშორისო საგანმანათლებლო თანამშრომლობის ერთ-ერთი ფაქტორი, ამ შემთხვევაში თანამშრომლობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბრძოლა ლიდერობისთვის ამიტომ,

ლიდერებათ ითვლებიან ისინი ვინს სწრაფად განიცდის ინტეგრირებას გლობალურ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.[19]

მნიშვნელოვანია თუ რატომ უნდა ხორციელდებოდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესი უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაზე

1. „აუცილებელია სტუდენტთა მომზადებულობის ხარისხის ასამაღლებლად
2. აუცილებელია კურიკულუმის ინტერნაციონალიზების თვალსაზრისით
3. უნივერსიტეტის პროფილის გაუმჯობესების მიზნით
4. სწავლის, სწავლებისა და კვლევის გაუმჯობესების თვალსაზრისით
5. ფაკულტეტებისა და დეპარტამენტების გაძლიერების ტავლსაზრისით
6. რეგიონის სტუდენტი ახალგაზრდების, მოსახლეობისა და ჩართული პირების ცნობიერების ამაღლების მიზნით
7. რეგიონში უნივერსიტეტის როგორც აკადემიური მიღწევების ცენტრის გაძლიერების მიზნით
8. უნივერსიტეტი ყველგან და ყოველთვის არის განვითარების უმთავრესი ადგილი, რომელიც ამ პროცესში ჩართულია საზოგადოებასთან, ახალგაზრდობასთან, მმართველ ორგანოებთან და საჯარო სექტორთან ერთად“[20]

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის არსი მდგომარეობს შემდეგში: „ორ ან მეტ ეროვნულ სახელმწიფოს შორის (მათი გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად) ურთიერთქმედების და ურთიერთკავშირების მოდელებს. ინტერნაციონალიზაციის პროცესი გულისხმობს საქონლის, ინვესტირების,

---

[19] ,,რა არის განათლების განსაზღვრის ინტერნაციონალიზაცია. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია. განსაკუთრებული შერწყმა“. თბილისი-2020. გვ.1. https://ief-usfeu.ru/ka/chto-takoe-internacionalizaciya-obrazovaniya-opredelenie/

[20] ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტები: შოთა მესხია ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გვ.1 http://www.zssu.ge/zssu2/node/1144

ადამიანთა, ფულის, იდეების მზარდი ნაკადების მოძრაობას. ამ თვალსაზრისით, გლობალური ურთიერთკავშირებ სხვა არაფერია, თუ არა გაღრმავებული საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულება. რაც ნიშნავს, რომ ხალხი და კულტურა, მათი საქმიანობა ასე დაახლოებული ერთმანეთთან არასდროს ყოფილა, ცვლილებები ერთ ქვეყანაში მყისვე აისახება მასზე ათასობით კილომეტრით დაცილებულ ქვეყნებზე. სოციალურ თეორიაში ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ურთიერთობები ინტენსიფიკაციას ნაციონალურ დონეზე, რაც უპირველეს ყოვლისა ქვეყნების (სახელმწიფოებს შორის) და ხალხების ურთიერთდამოკიდებულებით გამოიხატება. საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოები, როგორ მჭიდროდაც არ უნდა იყვნენ ურთიერთდამოკიდებულნი, ნათლად გამოკვეთილი საზღვრებით არიან ერთმანეთისაგან გამიჯნული. გლობალური მსოფლიო კი გულისხმობს ზეტერიტორიულ და ზენაციონალურ სამყაროს, სადაც სახელმწიფოებრივი საზღვრები არავითარ როლს არ უნდა თამაშობდეს. ანუ, ერთი მხრივ, გლობალიზაცია იწვევს სახელმწიფოთა შორის კავშირების გააქტიურებას და იმავე დროს სახელმწიფო საზღვრების როლისა და მნიშვნელობის შემცირებას. გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობის ცხოვრება მიმდინარეობს სამყაროში, რომელიც განუყოფელ და ერთიან მთლიანობაში არის წარმოდგენილი.“[21]

როდესაც ვსაუბრობთ ინტერნაციონალიზაციაზე, აუცილებელია ცოტათი მაინც შევეხოთ განათლების ინტეგრაციის პროცესს, რაც მოიცავს ტრენინგებს, მენეჯმენტის ხარისხის კონტროლს, საგანმანათლებლო პროგრამებს და სწავლების ტექნოლოგიებს.

[21] მამუკა ჯორბენაძე, „გლობალიზაციის პროცესი და ეროვნული კულტურები“, თბილისი-2012. გვ.36. https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_3503_1.pdf

წამყვანი სახელმწიფოები ინტერნაციონალიზაციას განიხილავენ, როგორც ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარებაში. განათლების ინტერნაციონალიზაცია აერთიანებს ქვეყნების საგანმანათლებლო საქმიანობებს და უზრუნველყობს საერთაშორისო თანამშრომლობას.

განათლების ინტერნაციონალიზაცია ძალიან მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს სახელმწიფოებისთვის. რადგან ისინი განვითარებადი სახელმწიფოებიდან იწვევენ სტუდენტებს და ამის ხარჯზე ცდილობენ გაზარდონ როგორც განათლების დონე ასევე შემოსავლებიც.

განათლების ინტერნაციონალიზაციის განვითარების ტემპზე საკმაოდ ცუდ გავლენას ახდენს ქვეყნებში არსებული შემდეგი პრობლემები. მაგალითად ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, სავიზო რთული რეჟიმები, სწავლის მაღალი ღირებულება და მრავალი სხვა.

რაც შეეხება განათლების ხარისხს და მისი კონტროლის უზრუნველყოფას საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობენ ისეთი დამკვირვებლები, რომლებიც სულ აკრიტიკებენ სასწავლო პროგრამებს, მაგრამ სამწუხაროდ ვერ ანხორციელებენ შეაფასონ სწავლების ხარისხის დონე.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია მუდმივად ვითარდება და საკმაოდ დიდი სარგებელიც მოაქვს ქვეყნებისთვის როგორც ეკონომიურად ასევე განათლების დონის ამაღლების საკითხშიც, მაგრამ არსებობს რაღაც საკითხები, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში აღშფოთებას იწვევს. [22] მაგალითად

[22] ეკა ჩოხელი, ,,უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია გლობალიზაციის პირობებში“, თბილისი- 2012. გვ.35-36.
http://eprints.tsu.ge/662/1/Internationalization%20of%20%20High%20%20Education%20%20in%20%20the%20%20Era%20%20of%20%20Globalization.pdf

ის, რომ ინგლისური ენის გამოყენება ამარტივებს კომუნიკაციას, მაგრამ თვილიან რომ ეს შეიძლება გახდეს კულტურის ჰომოგენიზაციის მიზეზი. ასევე მნიშვნელოვანია ტვინების გადინების პროცესი, რომელიც განვითრებადი ქვეყნების გაძლიერებას აფერხებს საკმაოდ დიდი ხნით.

მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება განათლების ინტერნაციონალიზაციასაც გააჩნდეს რაღაც უარყოფითი მხარეები, აუცილებელის რომ სახელმწიფოებმა მაინც შეინარჩუნონ საკუთარი ეროვნული ინტერესები სწორად დაგეგმონ ყველაფერი და იბრძოლოს მიზნების მისაღწევად, რომელიც სამომავლოდ აისახება სახელმწიფოს კეთილდღეობაზე. წარამატებისათვის კი სახელმწიფოებმა აუცილებლად უნდა

1. შეძლონ აკადემიური თავისუფლების მოპოვება და სოციალური პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება.
2. მოახდინონ ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში
3. შექმნან საერთაშორისო დონის პროგრამები, რომელიც აუცილებელია არამობილური სტუდენტებისთვის.
4. ასევე პატივი სცენ მათ ყველა საერთაშორისო დონის სტუდენტს და მათ კულტურას და ენობრივ ბარიერს.

   საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტერნაციონალიზაციის გამოწვევებს აუცილებლად უნდა ვუპასუხოთ დადებითად რაც ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის გათვალისწინებით დადებით შედეგამდე მიგვიყვანს.

რაც შეეხება გლობალიზაციას საკმაოდ მნიშვნელოვანია მისი როლი განათლების განვითარების მხრივ. გლობალიზაციის უარყოფითი მხარეები განათლების მენეჯმენტზე ყველაზე ნაკლებად აისახება. ციფრული ტექნოლოგიები კი , რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან უფრო და უფრო ვითარდება ახალი გამოწვევების წინ გვაყენებს.

21-ე საუკუნეში, როდესაც ცივილიზაციის ყველაზე მაღალ საფეხურზე ვართ, წარმუდგინელია განათლების გარეშე არსებობა, ამიტოდ დღევანდელობაში ადამიანის მთავარი ძალა გახლავთ განათლება, რათა მან შეძლოს სწორი ორიენტაცია თუ როგორ წარმართოს თავისი ცხოვრება.

მსოფლიოში არსებულმა გლობალურმა ცვლილებებმა განათლების სისტემაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა და გამოწვევების წინ დააყენა სამყარო . ეს კი იმაში მდგომარეობს, რომ ძალაინ ბევრი საფიქრალი გაჩნდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ წარიმართოს განათლების პროცესები, რომ ადამიანებმა შეინარჩუნონ ადამიანური საყრდენები და შეძლონ იმ გარემოში ინტეგრაცია სადაც მათ ცხოვრება მოუწევთ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 20-ე საუკუნის 90 იან წლებში განათლების პოლიტიკა მხოლოდ ქვეყნის ხელისუფლების გადასაწყვეტი იყო და საშინაო საქმეებს მიეკუთვნებოდა, მაგრამ გლობალიზაციის პროცესებმა ეს ყველაფერი შეცვალა და განათლების სისტემის ჩამოყალიბება უკვე საერთაშორისო დონეზე ვითარდება და ყალიბდება საიდანაც, სახელმწიფოები თავიანთ სასურველ სისტემას ირჩევენ.

დავუბრუნდეთ მე-19 საუკუნეს, რა დროსაც ცნობილი ფილოსოფოსი ჯონ დიუ, ცოდნის თეორიის შესწავლით იყო დაინტერესებული. დიუ ამბობდა: „ადამიანური ცოდნის განვითარება იყო ადაპტაციური, შემგუებლური პასუხი გარემოზე, რომ „ნებისმიერი ვითარება, მდგომარეობა გავლენას ახდენს პიროვნულ საჭიროებებზე, სურვილებზე, მიზნებზე და უნარებზე, რათა შექმნას გამოცდილება, რომელიც მას მიეცა.“ დიუი აგრეთვე ვარაუდობდა, რომ ცოდნა საფუძველშივე იყო პრაქტიკული ან ინსტრუმენტული - რათა უზრუნველეყო იმ პრობლემების გადაჭრა, რომლებსაც ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე

აწყდება. ცოდნა და სწავლა შესაბამისად წარმოიქმნება გარემოს აქტიური მანიპულაციის შედეგად“[23]

ფაქტია, რომ თანამედროვე ცხოვრებაშიც კი ანალოგიური გამოწვევები გვხვდება, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია რომ მომავალ თაობას ქონდეს განვითარებისკენ სწრაფის სურვილი და უნარი.

მთელი მსოფლიო თანხმდება იმაზე, რომ ქვეყნის წარმატება და აღორძინება შეუძლებელია განათლების და თანამედროვე განათლების სისტემის გარეშე.

ადრე განათლების სისტემა საკმაოდ რთული იყო, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ თუ ათეული წლის წინ ყოველი მეექვსე ადამიანი სწავლობა უნივერსიტეტში ახლა თითქმის ყოველი მეორე სწავლობს და სურს დიპლომის აღება.

მსოფლიოში განათლებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ბოლო ოცი წლის განმავლობაში, და სწორედ ამიტომაცაა, რომ თანამედროვე განათლების სისტემა საკმაოდ დადებითი წარმატებები განიცადა.

თანამედროვე მსოფლიოს მთავარ მიზანს წარმოადგენს, ცივილიზაციის ახალ და თანამედროვე საფეხურზე გადასვლა, რაც გულისხმობს იმას, რომ მსოფლიოს მთავარ პროცესს წარმოადგენ განამატერიალური რესურსები, არმედ განათლება, ინტელექტი, ინოვაციები, რომელიც ადამიანის პოტენციალს უფრო ზრდის , რომ თავი დაიმკვიდროს დღევანდელ რეალობაში მიუხედავად ძალიან დიდი კონკურენციისა.

[23] ინგა ხუციშვილი, ,,გლობალიზაცია და მისი გავლენა განათლების სისტემაზე“, თბილისი-2018. გვ.6.

მეორე თავი. კავკასიის რეგიონში განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესის პოლიტიკური ასპექტები - „ბოლონიის პროცესი“ როგორც ევროკავშირის „რბილი ძალის“ ფაქტორი

2.1. „ბოლონიის პროცესის“ გავლენა რეგიონული პოლიტიკაზე და ევროკავშირის გეოპოლიტიკური მიდგომები

ბოლონიის პროცესის განვითარების ეტაპები იწყება 1988 წლიდან, რა დროსაც ხელი მოეწერა უნივერსიტეტების დიდ ქარტიას, ბოლონიის უნივერსიტეტის ცხრაასი წლის თავის აღნიშვნის დღეს, რაც გულისხმობდა იმას, რომ ევროპას სურდა შეექმნა იდიალური სივრცე ევროპული განათლების მისაღება. ეს ყველაფერი კი მოხდა ევროგაერთიანების ქვეყნებს შორის საზღვრების გაუქმებამდე ოთხი წლით ადრე. ამ დოკუმენტის მთავარი მიზანი გახლდათ, რომ სახელმწიფოებს და ინტერნაციონალურ საზოგადოებას უნდა გაეანალიზებინა თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტის როლი ადამიანისა და ქვეყნისთვის.

ევროპის უნივერსიტეტებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ დოკუმენტზე უნდა გაეთვალისწინებინათ შემდეგი ფუნდამენტური პრინციპები უნივერსიტეტების საქმიანობაში.

1. მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ სწავლების პროცესი აუცილებლად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებებისგან.
2. ასევე მნიშვნელოვანი იყო სწავლებიისა და კვლევის მეთოდების ერთად გამოყენება რადგან სიახლეებთან ჩამორჩენა არ მომხდარიყო
3. ასევე უნივერსიტეტში ისეთი ლექტორები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც ორიენტირებულები იქნებოდნენ ინოვაციებზე და კვლევებზე და ამ ცოდნას გაუზიარებდნენ სტუდენტებს.

4. ევროპული უნივერსიტეტები უნდა ყოფილიყვნენ ისეთები, რომლებიც გასცდებოდნენ პოლიტიკურ და გეოგრაფიულ საზღვრებს და უნივერსალური ცოდნისკენ აიღებდნენ გეზსს.

1998 წლის 25 მაისს გერმანიამ, იტალიამ, საფრანგეთმა და გაერთიანებული სამეფოს განათლების მინისტრებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დოკუმენტს, რაც სორბონის დეკლარაციის სახელითაა ცნობილი. მათი მთავარი მიზანი იყო, რომ ევროპა მარტო ეკონომიკა არ იყო და აუცილებელობა მოითხოვდა რომ შექმნილიყო „ ცოდნის ევროპა“ რაც კონტინენტს დაეხმარებოდა სოციალურ, ინტელექტუალურ და კულტურული თვალსაზრისით გაძლიერებაში. ასეთი განვითარებისთვის კი მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტების როლი.

ისინი საუბრობდნე იმაზე, რომ ევროპაში დიდი ხანია რაც არსებობს უნივერსიტეტები, მაგრამ აუცილებელი იყო უფრო განვითარება და სტოდენტებისთვის იმ შესაძლებლობების მიცემა რა საზღვარგარეთ სწავლას გულისხმობდა გარკვეული ვადით. ასევე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ის, რომ შეექმნათ მრავალფეროვანი პროფესიები, რათა სტუდენტებს სწორათ შეერჩიათ მათთვის სასურველი განათლების სფერო.

სობრონის დეკლარიციის მთავარი არსი კი მდგომარეობდა იმაში, რომ შეექმნათ ისეთი განათლების სისტემა, რომელიც საერთაშორისო დონეზე იქნებოდა აღიარებული და არა მარტო ევროპის ქვეყნებს შორის.

1997 წელს მიღებული იქნა ლისაბონის კონვენცია რაც გულისხმობდა იმას, რომ უმაღლესი განათლების მიღება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენდა ქვეყნებს შორის ურთიერთობების დამკვიდრება და სტუდენტებისთვის იმ შანსის მიცემა რასაც გულისხმობს სხვა ქვეყანაში განათლების მიღება და აკადემიური მობილობის ხელშეწყობა.

ზემოთ ჩამოთვლილმა ხელშეკრულებებმა 1999 წლის 19 ივნის საფუძველი ჩაუყარა ახალ ინიციატივას, რომელიც ცნობილია ბოლონიის

პროცესის სახელით, სადაც ხელი მოაწერეს 29 ქვეყნის განათლების მინისტრებმა იტალიის უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქში.[24] სადაც სახელმწიფოები გამოხატავდნენ მზად ყოფნას შეესრულებინათ ყველა დოკუმენტში გაწერილი პროცესები.

მთავარ მიზანს ბოლონიის პროცესის წარმოადგენდა, ჩამოყალიბება საერთო ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ჩამოყალიბება რაც ხელს შეუწყობდა ევროპის მოქალაქეების მობილობის გაძლიერებას და მოქალაქეთა დასაქმებას და ასევე, განათლების იმ დონეზე განვითარებას, რომელიც საკმაოდ კონკურენტ უნარიანი იქნებოდა მსოფლიოში.

„ბოლონიის დეკლარაციის ხელმოწერიდან ორი და სორბონის დეკლარაციის მიღებიდან სამი წლის შემდეგ ევროპის 32 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები შეიკრიბნენ პრაღაში, რათა განეხილათ შედეგები და დაესახათ პროცესის სამომავლო მიმართულებები და პრიორიტეტები. მინისტრებმა დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება 2010 წლისათვის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის დაფუძნებასთან დაკავშირებით. ამ შეხვედრისთვის პრაღის შერჩევა სიმბოლურად გამოხატავს პროცესში მთელი ევროპის ჩართვის სურვილს ევროკავშირის გაფართოების ფონზე. მინისტრები მიესალმნენ და განიხილეს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიში - "ბოლონიის პროცესის ხელშეწყობა" - და დაასკვნეს, რომ ბოლონიის დეკლარაციაში დასახული მიზნები ხელმომწერი ქვეყნების უნივერსიტეტებისა და უმაღლესი განათლების სხვა დაწესებულებების მიერ ფართოდაა აღიარებული და გამოყენებული, როგორც უმაღლესი განათლების განვითარების საფუძველი. მინისტრებმა დაადასტურეს, რომ უნდა გაგრძელდეს მობილობის ხელშეწყობა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, მასწავლებლებს, მეცნიერებს და ადმინისტრაციულ პერსონალს ისარგებლონ

[24] ინგა ხუციშვილი, ,,გლობალიზაცია და მისი გავლენა განათლების სისტემაზე“, თბილისი-2018. გვ.13.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სიმდიდრით, მისი დემოკრატიული ღირებულებების, კულტურის და ენების მრავალფეროვნების და უმაღლესი განათლების განსხვავებული სისტემების ჩათვლით.“[25]

2001 წლის 19 მაისს პრაღაში გამართულ შეხვედრაზე მინისტრებმა მაღალი შეფასება მისცეს ევროპის უნივერსიტეტის ასოციაციას ბოლონიის ბროცესებში საკმაოდ აქტიური ჩართვების გამო. ასევე განიხილეს ის საკითხი, რომ ძალიან ბევრ ქვეყანაში სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის სამუძაიები საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობდა.

„ბოლონიის პროცესის ექვსი მიზნიდან გამომდინარე შემდგომი საქმიანობა ბოლონიის დაკლარაციიდან გამომდინარე, მინისტრებმა დაადასტურეს, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა ევროპაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების პირობაა. მათ მხარი დაუჭირეს იდეას, რომ უმაღლესი განათლება უნდა განიხილებოდეს, როგორც საზოგადოებრივი დოვლათი, რომელიც არის და რჩება საზოგადოებრივ პასუხისმგებლობად, და რომ სტუდენტები არიან უმაღლესი განათლების რთობის სრულფასოვანი წევრები. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, მინისტრებმა მომავალ პროცესებთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთეს: იოლად გასაგები და შესადარებელი აკადემიური ხარისხების სისტემის შემოღება მინისტრები დაბეჯითებით მოუწოდებენ უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სრულად ისარგებლონ არსებული ეროვნული კანონმდებლობისა და ევროპული მექანიზმების იმ უპირატესობებით, რომელთა მიზანია კურსების, აკადემიური ხარისხებისა და სხვა მიღწევების აკადემიური და პროფესიული აღიარების ხელშეწყობა, რათა

[25] უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ. ევროპის ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების შეხვედრის კომუნიკე პრაღა. თბილისი-2001. გვ.1. https://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/2%20praRis%20komunike.pdf

მოქალაქეებმა შეძლონ თავიანთი კვალიფიკაციების, კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების ეფექტური გამოყენება უმაღლესი განათლების მთელ ევროპულ სივრცეში“.[26]

მინისტრებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელი იყო შემოეღოთ ორ საფეხურიანი სწავლების აკადემიური ხარისხი, რაც გულისხმობდა ჯერ დიპლომამდელ სწავლას და შემდგომ უკვე დიპლომის აღების შემდეგ სწავლების მეორე საფეხურს, რაც სხვა ქვეყნებში გავრცელებული იყო , როგორც ბაკალავრიატი და მაგისტრატურა.

მნიშვნელოვან განხილვის საკითხს ასევე წარმოადგენდა კრედიტების სისტემის ჩამოყალიბება, რაც რა თქმა უნდა გააადვილებდა კვალიფიკაციის მინიჭების პროცესებს, რაც ხელს შეიწყობდა ევროპული განათლების კონკურენტ უნარიანობას.

მინისტრებმა ასევე ისაუბრეს, რომ მობილობის გაუმჯობესება კვლავ რჩებოდა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად მოსწავლეებში, სტუდენტებში , ადმინისტრაციული პერსონალში და მეცნიერებში. ამიტომ უნდა გადაეხედათ ყველა წინაღობაზე რასაც შეიძლებოდა შეეფერხებინა მობილობა. უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომ 2000 წელს ევროპის საბჭომ დაამტკიცა ქ. ნიცაში მობილობის დამოქმედო გეგმა, რომ დაწყებულიყო.

მინისტრებმა ასევე ხაზი გაუსვეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რომ მაღალი განათლების სისტემის სტანდარტები დაენერგათ. ასევე მათ უნივერსიტეტებს და სხვადასხვა

[26] უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ. ევროპის ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების შეხვედრის კომუნიკე პრაღა. თბილის- 2001. გვ. 1-2. https://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/2%20praRis%20komunike.pdf

საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოუწოდეს რომ შეექმნათ შეფასებისა და აკრედიტაციების მექანიზმები.

მინისტრებმა ასევე ისაუბრეს , რომ ევროპული განათლების მთავარი მიზანია სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე. რადგან ევროპის მომავალი დაფუძნებულია ცოდნაზე და მის გამოყენებაზე იმ გამოწვევებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების პროცესში რაც მსოფლიოში მიმდინარეობდა. ამიტომ განათლებული ადამიანი ყოველთვის იპოვის გამოსავალს ნებისმიერი გამოწვევის დროს.

2003 წლის 19 სექტემბერს ბერლინში ასევე გაიმართა შეხვედრა სადაც 33 ევროპის ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრი იყო წარმოდგენილი. მათ განიხილეს ის თუ ამ პერიოდში რა წარმატებებს მიაღწიეს და ასევე დასახელეს ახალი პრიორიტეტები.

მინისტრებმა პირველ რიგში მადლობა გადაუხადეს ყველა პარტნიორ ქვეყანას, რომლებმაც პრაღის სამიტზე მიღებულ ინიციატივებს მხარს უჭერდნენ და ევროპული განათლების განვითარებას შეუწყეს ხელი. აგრეთვე ისაუბრეს იმაზე, რომ 2005 წლისთვის უფრო გაეძლიერებინათ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები და ასევე სწავლის ორსაფეხურიან სისტემა უფრო კარგათ ჩამოეყალიბებინათ.

უნდა ავღნიშნოთ ის, რომ მათთვის პრიორიტეტს წარმოადგენდა 2003 წელსაც ხარისხის უზრუნველყოფა, ამისათვის კი ისინი მიიჩნევდნენ, რომ ერთობლივად უნდა შეემუშავებინათ მეთოდოლოგია და კრიტერიუმები. ხოლო განათლების ხარისხზე პასუხისმგებლობა, კი პირველ რიგში ეკისრებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებას.

მინისტრების გადაწყვეტილებით 2005 წელისთვის შემდეგი კრიტერიუმები შევიდოდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში: 1.“პროცესში ჩართული

ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების პასუხისმგებლობის განსაზღვრა; 2. პროგრამების ან სასწავლებლების შიდა და გარე შეფასება, სტუდენტების მონაწილეობითა და შედეგების გამოქვეყნებით; 3. აკრედიტაციის, სერტიფიკაციის ან სხვა შესაბამისი პროცედურების სისტემა; 4. საერთაშორისო მონაწილეობა, თანამშრომლობა და საერთო ქსელის შექმნა."[27]

მინისტრებმა ევროპის დონეზე მოუწოდეს "ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) წევრებს, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპულ ასოციაციასთან (EURASHE) და ევროპის სტუდენტების ეროვნულ კავშირებთან (ESIB) თანამშრომლობით განავითარონ ხარისხის უზრუნველყოფის შეთანხმებული სტანდარტები, პროცედურები და ინსტრუქციები, შეისწავლონ ხარისხის უზრუნველყოფის და/ან აკრედიტაციის სააგენტოების, ან ორგანოებისათვის შემოწმების ადეკვატური სისტემების უზრუნველყოფის გზები და 2005 წლისათვის სამუშაო ჯგუფის მეშვეობით ჩააბარონ მინისტრებს ანგარიში."[28]

ბოლონიის დეკლარაციაში არსებულ ორ საფეხურიან სგანმანათლებლო სისტემის საბოლოო ჩამოყალიბებაზე ყველა მინისტრს უნდა აეღო ვალდებულება, რომ 2005 წლისთვის ორსაფეხურიანი განათლების მიღებაზე მუშაობა უკვე დასრულებული ექნებოდათ. ასევე მინისტრებმა მოუწოდეს ყველა ქვეყნის წარმომადგენელს, რომ შეემუშავებინათ ისეთი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც დაეხმარებოდა მათ სწორად შეეფასებინათ თავიანთ ქვეყანაში არსებული სწავლის და განესაზღვრათ სწავლის ხარისხი. რაც გულისხმობდა იმას, რომ პირველი საფეხურიდან მეორეზე გადასასვლელი

---

[27] უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე ბერლინი. თბილისი-2003. გვ. 2-3. https://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/3%20berlinis%20komunike.pdf

[28] იქვე. გვ. 3.

საჭირო და სწორა განათლება უნდა მიეღოთ, რადგან მაგისტრატურაში ჩაებარებინათ და ასევე მეორე საფეხურზე ისეთი სწავლის ხარისხი უნდა ქონოდათ, რომ დოქტორანტურაში შეძლებოდათ გაეგრძელებინათ სწავლა.

ამავე კონფერენციაზე, მინისტრების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა რომ 2005 წლისთვის უკვე შეძლებოდათ კურსდამთავრებულებს უფასოდ აეღოთ დიპლომის დანართი, რაც საკმაოდ ფართოთ განიხილეს 2001 წლის კონფერენციაზე და ამის საჭიროება დასახეს. დანართის არსებობის საჭიროებას იმით ხსნიდნენ, რომ ეს ყოველივე დაეხმარებოდა ახალგაზრდებს დასაქმების პერსპექტივების ზრდაში.

ბერლინის კონფერენციაზე ასევე საუბარი შეეხო, განათლების გამჭირვალობას და მესამე ქვეყნებისთვის განათლების მიღებას ევროპაში. ამისათვის კი მათ მიზნად დაისახეს, რომ შექმნიდნენ სტიპენდიებს რათა ყველასთვის მიეცათ შანსი გამოეყენებინათ ევროპული განათლების მიღება. ამიტომ ამისათვის აუცილებელი იყო მოეძიებინათ ეკონომიკური პარტნიორები.

შემდგომი ორი წლის განმავლობაში ევროპულ განათლებაში მონაწილე ქვეყნებს უნდა ემუშავათ, რომ საბოლოოდ ჩამოეყალიბებინათ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები; ორსაფეხურიან სისტემა და აკადემიური ხარისხი, ანუ სწავლების ხანგრძლივობა განესაზღვრათ. შემდგომი შეხვედრა კი 2005 წლის მაისში ჩანიშნეს ნორვეგიაში.

2005 წლის 19-20 მაისის კონფერენციაზე მინისტრებმა დადებითად შეაფასეს განვლილი ორი წელი და ის სამი პრიორიტეტი განიხილეს რაზეც უნდა ემუშავათ უმაღლეს განათლებაზე პასაუხისმგებელ მინისტრებს.

1. მინისტრები კმაყოფილები იყვნენ იმით, რომ ურსაფეხურიანი განათლების სისტემა საკმაოდ ფართოდ გავრცელდა და სტუდენტთა

უმეტესობა ამ ქვეყნებში ჩაერთო სწავლების ასეთ სისტემაში. მაგრამ მათ სურდათ რომ უკვე სამ საფეხურიან სისტემაზე დაეწყოთ მუშაობა 2007 წლიდან და უფრო ამაღლებულიყო კვალიფიკაციები ევროპის საგანმანათლებლო უნივერსიტეტებში.

- პირველი საფეხურის კვალიფიკაცია მიენიჭებოდა იმ სტუდენტებს, რომლებსაც სკოლის დამთავრების შემდგომ, ქონდათ ისეთი უნარ-ჩვევები და განათლება, რომელიც აუცილებელი იყო ამ საფეხურზე სასწავლებლად.
- სწავლების მეორე საფეზურზე სწავლის უფლება ინიჭებოდათ იმ სტუდენტებს,რომლებმაც მიიღეს ცოდნაა პირველ საფეხურზე და სურთ ამ ცოდნის უფრო სიღრმისეული სწავლა. ასევე შეუძლიათ, რომ სირთულეების მიუხედავად შეძლონ თავისი აზრის არგუმენტირებულად ჩამოყალიბება და მისი დამტკიცება სპეციალისტებთან.
- სწავლების მესამე საფეხურზე გაგრძელების მსურველებს კი უნდა შეეძლოთ კვლევებში ჩართვა, დაგეგმვა და მეცნიერული სიახლეების შექმნა. აგრეთვე უნდა შეეძლოთ კრიტიკული ანალიზი და ხელის შეწყობა სოციალური, კულტურული და ტექნოლოგიური წინსვლისთვის.

2. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა ამ ორი წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფაში, ისინი კიდევ მოუწოდებნენ, რომ უფრო აემაღლებინათ სწავლების ხარისხის შიდა სისტემები .
3. რაც შეეხება მესამე საკითხს რაც ეხებოდა სწავლების პერიოდის აღიარებას და აკადემიურ ხარისხს, მათ თქვეს, რომ ისინი ისევ გააგრძელებენ მუშაობას იმასთან დაკავშირებით, რათა მოხდეს გაადვილება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებაზე და ასევე

მოუწოსებენ მინისტრებს რომ დროულად შეიმუშაონ და განსაზღვრონ სწავლების პერიოდი თითოეულ საფეხურზე.

2007 წლამდე კი მათ უნდა ემუშავათ შემდეგ საკითხებზე, რასაც ორ წელში განიხილავდნენ ლონდონის კომუნიკეზე. ესენი იყო:

• „ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და მითითებების დანერგვა, ისე როგორც ეს მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის ანგარიშში;

• კვალიფიკაციების ნაციონალური სტრუქტურების დანერგვა;

• ერთობლივი აკადემიური ხარისხების მინიჭება და აღიარება, დოქტორანტურის დონის ჩათვლით;

• უმაღლეს განათლებაში მოქნილი სასწავლო გზების შემუშავება, წინა სწავლების აღიარების ჩათვლით.“[29]

რა თქმა უნდა ისევ წარმატებით გაიარა ევროპული განათლების სისტემაში მომდევნო ორმა წელმა და უკვე 2009 წლისთვის მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა სრულფასოვანი ჩამოყალიბება სამ საფეხურიანი სისტემის.

2009 წელს ბოლონიის პროცესში ჩართული იყო უკვე 46 ქვეყანა. 2010 წლის ბუდაპეშტა-ვენის კონფერენციაზე უკვე საუბარი იყო იმაზე, რომ უკვე საკმაოდ წარმატების სარგებლობდა ევროპის უმაღლესი განატლების სისტემა და მინისტრები მოუწოდენდნენ მთელს მსოფლიოს, რომ ერთად გააგრძელონ

[29] უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე – მიზნების მიღწევა ბერგენი, 2005 წლის 19-20 მაისი უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე. გვ.6. https://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/4%20bergen%20communique.pdf

თანამშრომლობა, რათა კიდევ უფრო და უფრო დაიხვეწოს განათლების სისტემა.

აგრეთვე გაიმართა კონფერენცია 2012 წელს სადაც რა თქმა უნდა შეჯამდა ორი წლის მუშაობა და ასევე აღსაღნიშნავიან 2015 წლის ერევნის კომუნიკე სადაც სიამაყით განაცხადეს, რომ ევროპული უმაღლესი განათლების სისტემამ, რომელიც ბოლონიაში წარმოიშვა უკვე 47 ქვეყანას აერთიანებს და საერთო ვალდებულებებს და მიზნებს ემსახურებიან განათლების სფეროში დაისახეს მიზნები რაც უნდა შეესრულებინათ და განეხორციელებინათ 2020 წლამდე. ეს მიზნები კი მდგომარეობდა შემდეგში.

- "სწავლებისა და სწავლის ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესება წარმოადგენს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის მთავარ მისიას.
- კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ხელშეწყობა მათი შრომითი ცხოვრების განმავლობაში სწრაფად ცვალებად შრომის ბაზარზე, რომელიც ხასიათდება ტექნოლოგიური განვითარებით, ახალი სამუშაო პროფილების წარმოშობით, დასაქმებისა და თვითდასაქმების მზარდი შესაძლებლობებით, წარმოადგენს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის მთავარ მიზანს.
- სისტემების, ინკლუზიურობის უზრუნველყოფა არის მნიშვნელოვანი მიზანი ევროპული უმაღლესი განათლების სივრცისათვის, რადგან ჩვენი მოსახლეობა უფრო და უფრო დივერსიფიცირებული ხდება ემიგრაციისა და დემოგრაფიული ცვლილებების გამო.
- შეთანხმებული სტრუქტურული რეფორმების განხორციელება წარმოადგენს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის კონსოლიდაციის პრერეკვიზიტს გრძელვადიან პერსპექტივაში მისი წარმატებისათვის. საერთო ხარისხის სტრუქტურა და კრედიტების

სისტემა, საერთო ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები, თანამშრომლობა მობილობასა, ერთობლივ პროგრამებსა და ხარისხზე არის ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის საფუძველი. ჩვენ გავავითარებთ საზღვარგარეთ მიღებული კრედიტების უფრო ეფექტური აღიარების, აკადემიური და პროფესიული მიზნებისათვის კვალიფიკაციებისა და წინმსწრები განათლების პოლიტიკას."[30]

2018 წლის პარიზის კომუნიკეზე ყველაზე მნიშვნელოვანი განხილვის საგანი, იყო ის, რომ ერასმუს+ ით სარგებლობა უფრო ხელმისაწვდომი გაეხადათ. და ასევე 2020 წლის შეხვედრისთვის უნდა მოემზადებინათ შეჯამება, თუ ბოლონიის პროცესის დაწყებინან 2020 მდე რამდენად კარგად იქნა მიღწეული მობილობის მიზანზე და პროცესზე.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო 20 წლის განმავლობასი საკმაოდ სწრაფად ვითარდება უმაღლესი განათლების სისტემა, რაც რა თქმა უნდა გამოწვეულია იმით, რომ საკმაოდ აქტუალურად მიმდინარეობს ინოვაციური განათლების მეთოდების დაგეგმვა მთელს მსოფლიოში. 90 იანი წლებიდან საგანმანათლებო პოლიტიკამ უკვე საერთაშორისო სახე მიიღო და მხოლოდ ეროვნულ დონეზე არ დარჩა დაიწყეს სტუდენტების მობილობა, რაც ხარისხიანი განათლების საწინდარი გახდა სამომავლოდ. და სწორედ ამ განვითარების ეტაპებს გულისხმობა და ხელს უწყობფა ბოლონიის პროცესები.

„ბოლონიის პროცესი წარმოადგენს სამთავრობათშორისო შეთანხმებას, რაც გულისხმობს ევროკავშირის პროცესსგარე მდგომარეობაში მოქცევას.ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საერთო ჯამში ბოლონიის პროცესი ევროკავშირის

[30] ერევნის კომუნიკე. 2015 წლის მაისი. გვ. 2-4.
https://eqe.ge/res/docs/201909301143122015%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%94.pdf

არაწევრ სახელმწიფოებსაც მოიცავს. ევროპის ქვეყანათა ნება, რომ პროცესი განხორციელებულიყო სამთავრობათშორისო დონეზე, ევროკავშირისგან დამოუკიდებლად, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფოები გლობალიზაციის პირობებში, კვლავ ცდილობენ უმაღლესი განათლება საშინაო საქმეთა ნუსხას დაუქვემდებარონ მიუხედავად საერთოევროპული უმაღლესი განათლების სივრცის შექმნისა, სადაც გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანო მინისტრებისგანაა დაკომპლექტებული.სახელმწიფოთა ამგვარი ქმედება ერთი მხრივ ლოგიკურია, რადგანაც განათლება მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურულ იდენტობასთან და ითვლება, რომ ესაა სახელმწიფოს ერთ-ერთი ტრადიციული ფუნქციაც.განათლების, როგორც სახელმწიფოს ხელში არსებული მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის არსებობა გახდა განმაპირობებელი ფაქტორი თუ რატომ აირჩიეს ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ევროკავშირის გვერდის ავლით უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობა.სწორედ ის ფაქტი, რომ თანამშრომლობა ხორციელდება ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოების გვერდის ავლით აჩენს მოსაზრებას, რომ მიმდინარე პროცესები შესაძლოა არაგამჭვირვალე და არადემოკრატიული იყო.“[31]

2009 წლის ლეუვენის კომუნიკე, ბოლონიის პროცესის 10 წლის თავზე, მასობრივი საპროტესტო სტუდენტური გამოსვლის ფონზე მიმდინარეობდა. ამის მიზეზი კი გახლდათ, კრედიტების სისტემა, რომელიც არის გაწერილი ბოლონიის პროცესის მიხედვით.

ასევე სტუდენტებმა გააპროტესტეს კდედიტების აღიარების საკითხებიც. იმიტომ რომ იმ პროექტებს, რომლებსაც აფინანსებს ევროკომისია (ერასმუსი) და სტუდენტებს გაცვლითი პროგრამით უწევთ წასვლა სხვა ქვეყნებში, უკან დაბრუნების დროს თავიანთი ქვეყანა არ უღიარებს გავლილ კრედიტებს ხოლო

[31] მარიამ ხიზანაშვილი, თამარ ახალაძე,. ,,ბოლონიის პროცესი და ბოლონიის სისტემის კრიტიკა“. თბილისი- 2015. გვ. 1. http://intermedia.ge

ხშირია ისეთი შემთხვევები, რა დროსაც საზღვარგარეთის უნივერიტეტებიც არ უღიარებენ იმ კრედიტებს, რომლებიც თავიანთ სახელმწიფოებში გაიარეს.

კიდევ ერთ ძალიან დიდი პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ბოლონიის პროცესში სამსაფეხურიანი მოდელით სწავლების სტანდარტი. სტუდენტებს და კრიტიკოსებს მიაჩნიათ რომ ეს ეკონომიკური თვალსაზრისითაა უფრო გაკეთებული, ვიდრე იმის გამო რომ სტუდენტებმა სრულფასოვანი ცოდნა მიიღონს. ამიტომ მიაჩნიათ, რომ ვაჭრობის საგანი გახდა განათლება.

სამსაფეხურიანი სწავლების მოდელის უარყოფით მხარეს ასახელებენ იმას, რომ დამსაქმებლები, აღარ იღებენ სამსახურში ისეთ განათლების მქონდე სტუდენტებს , რომლებსაც მხოლოდ ბაკალავრიატი აქვთ დამთავრებული ან ძალიან დაბალ ანაზღაურებას სთავაზობენ. ამიტომ სტუდენტები ხდებიან იძულებულები, რომ გაიარონ სამაგისტრო პროგრამებიც.

მიუხედავად იმისა , რომ ამ პრობლემებმა თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა, რომელიც ჩართულია ბოლონიის პროცესში, არსებობს მოსაზრებები, რომ ეს პრობლემები გამოწვეულია თვითონ ეროვნულ დონეზე რადგან არასწორად ანხორციელებენ სხვადასხვა რეფორმებს.

საბოლოო ჯამში უნდა ვთქვათ, რომ ბოლონიის პროცეს გააჩნია, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგები.

2.2. საგანმანათლებლო რეფორმების განხორციელება საქართველოსა და სომხეთში და „ბოლონიის პროცესის“ გეოპოლიტიკური ასპექტები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს თვითონ უნდა გადაეწყვიტა თუ განვითარების რა ფორმას აირჩევდა და რა უნდა გაეკეთებინა იმისათვის, რომ დემოკრატიულ მართველობაზე გადასულიყო.

ამ პერიოდში საქართველოსთვის საკმაოდ დიდი სირთულეს წარმოადგენდა დემოკრატიულ მოტივებზე გადასვლა, რადგან ქვეყანაში არსებული საპროტესტო აქციები, შიდა არეულობები და ომები მიმდინარეობდა.

იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია იყო, განათლების სფეროზე ზრუნვამ მეორეხარისხოვანი როლი მიიღო, არადა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო განათლების სისტემის შეცვლა, რადგან ყველანაირი წარმატების საწიდარი ქვეყნისთვის გახლავთ განათლების სისტემის სწორი მიდგომებით წარმათვა. განათლება არის საზოგადოების არსებობის ყველაზე საჭირო სფერო, ამიტომ სახელმწიფომ პირველ რიგში უნდა იზრუნოს განათლების სისტემაზე, რათა სოციალურ-ეკონომიკური სწრაფი განვითარება ჰპოვოს.

იმ დროს, როდესაც მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს, აუცილებელია რომ განათლების სისტემაც აყვეს ამ პროცესებს და სწორედ,ბოლონიის პროცესი გახლავთ გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე განათლების სისტემის ჩამოყალიბების მაგალითი.

საქართველოში 1999 წლიდან დაიწყო საგანმანათლებლო ცვლილებები, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ნელი ტემპით ვითარდებოდა, მაგრამ მაინც გადაიდგა პირველი ნაბიჯები.

2001 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, მოსუხ საქართველოს ხელისუფლების გუნდს გააჩნდათ პროევროპული ხედვები, პრეზიდენტს და მინისტრების უმრავლესობას საზღვარგარეთ ქონდათ მიღებული უმაღლესი განათლება.[32] საქართველოს წინსვლისთვის და წარმატებისთვის, უფრო მეტი ევროპულად მოაზროვნე ადამიანი ჭირდებოდა, მაგრამ სამწოხაროდ კარდების ძალიან ჭირდა. ამიტომ საქართველომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად

[32] თამარ მჟავანაძე, ,,საქართველო, ბოლონიის პროცესი და მისი სოციო-პოლიტიკური მნიშვნელობა“. თბილის- 2015. გვ.1. http://iveria.biz/1338--.html

გადაწყვიტა, შეერთებოდა ბოლონიის პროცესს, რომელიც 2005 წელს უკვე მოახერხა ბერგერის სამიტზე.

რა თქმა უნდა საქართველოს თანამშრომლობა ბოლონიის დეკლარაციასთან ნიშნავდა, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილიყო ისეთი განათლების სისტემა, რომელიც ევროპულ უმაღლესი განათლების სისტემის შესაბამისობაში მოვიდოდა, ამისათვის კი საჭირო იყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, სწავლების მაღალი ხარისხი, კვლევებში ჩართვა, გაცვლითი პროგრამები საქართველოსა და ევროპას შორის და რაც მთავარია ეს ყველაფერიიქნებოდა საწინდარი დასაქმების შესაძლებლობების გაზრდაში, როგორც საქართველოში ასევე ევროპაში.

საქართველოს უნდა განეხორციელებინა ის პრინციპები, რაც ბოლინიის პროცესის მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო. ეს კი შემდეგში მდგომარეობდა :

- ისეთი ევროპული განათლების სისტემა უნდა ჩამოყალიბებულიყო, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენციას გაუწევდა ყველას.
- უნდა შემოეღოთ სამ საფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემა, ანუ ბაკალავრი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა.
- ასევე კრედიტების, სისტემა, რომელიც სტუდენტებს დაეხმარებოდა საერთაშორისო მობილობაში
- აკადემიური პერსონალის და სტუდენტებისთვის მობილობის ხელშეწყობა
- ევროპული საგანმანათლებლო სისტემის ხელშეწყობა და დახმარება ხარისხის უზრუნველოფის განხრით
- საგანმანათლებლო სისტემაში ევროპული განათლების დანერგვა და კურიკულუმების განვითარება ასევე ტრენინგებში და კვლევებში ჩართვა

- და რაც საკმაოდ მთავარი პრიორიტეტი იყო, სტუდენტებს უნდა შეძლებოდათ უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩახედვის უფლება და მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა ქონოდათ. რადგან სტუდენტები, მნიშვნელოვანი ძალაა განათლების სფეროს განვითარებისთვის. უნდა აღინიშნოს რომ არსებობს ESIB (ევროპულ სტუდენტთა ეროვნული კავშირი) სადაც გაერთიანებულია 50 მდე სტუდენტური გაერთიანება 37 ქვეყნიდან.
- ასევე უმაღლესი განათელება უნდა იყოს დაფუძლებული არამხოლოდ თეორიუს სწავლებაზე, არამედ პრაქტიკული ელემენტებიც უნდა ერიოს.

საქართველოში განათლების ინტერნაციონალიზაციამ 2005 წლიდან განათლების სიტემა საკმაოდ კონკურენტ უნარიანი გახადა და ხარისხიც გაუმჯობესდა. სრულიად შეიცვალა ძველი განათლების სისტემა ახლით , ასევე გაიზარდა მობილობის რიცხვი და ევროპაში განათლების მიღების მსურველი. უცხოურ და ქართულ უნივერსიტეტებს შორის გაიზარდა პარტნიორობაც რაც გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

„PMC ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიყო საქართველოში განათლების ინტერნაციონალიზაციაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები, რომელთა ხელშეწყობა მნიშვნელოვანია დასახული მიზნების მიღწევად, ესენია:

- აკრედიტაციის და ავტორიზაციის სისტემის ოპტიმიზაცია, გაწევრიანება საერთაშორისო სააკრედიტაციო სისტემებში;
- მართვის დეცენტრალიზაცია და უნივერსიტეტების ავტონომიურობის გაზრდა;
- აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაცია;

- სტუდენტური დაბინავების პროგრამის შემუშავება;
- სტუდენტებისთვის და მკვლევარებისთვის ინდივიდუალური სტიპენდიების სისტემის შემუშავება;
- უცხოურ საგანმანათლებლო პარტნიორებთან ერთობლივი დიპლომის გაცემა."[33]

რაც შეეხება დღევანდელობას, საქართველოში არსებობს სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემა. (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) რასაც არეგულირებს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქათველოს კანონმდებლობა.[34]

საქართველოში არსებობს სამი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო ტიპი:

ა) „კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის- საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;[35]

ბ) სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის – საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;[36]

---

[33] ინგა ხუციშვილი, ,,გლობალიზაცია და მისი გავლენა განათლების სისტემაზე". გვ.16.

[34] ,,საქართველოს განათლების სისტემა". გვ.1. https://eqe.ge/geo/static/7/education-system

[35] იქვე. გვ. 1.

[36] იქვე. გვ. 1.

გ) უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს. „[37]

საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები კრედიტები შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებები არის როგოც კერძო ისე საჯარო.

ბაკალავრიატზე სწავლის შემთხვევაში პირმა აუცილებლად უნდა გაიაროს ეროვნული გამოცდები. ეს საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან. ხოლო სამედიცინო სფეროს კრედიტები არის 360, სტომატოლოგიის კი 300კრედიტი და ასევე ვეტერინალურისაც.

სწავლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურაზე) გაგრძელების უფლება აქვთ იმ პირებს , რომლებსაც აქვთ ბაკალავრის ხარისხი და ჩააბარებენ ერთიან სამაგისტრო გამოცდებს. 120 კრედიტისგან შედგება სამაგისტრო პროგრამა.

მესამე საფეხურზე სწავლის უფლებას იპოვებს პირი, რომელისაც აუცილებლად აქვს მაგისტრის ხარისხი. 180 კრედიტს მოიცავს დოქტორანტურის პროგრამა.

საქართველოში 37 კერძო და 34 საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა წარმოდგენილი 2018 წლის მონაცემებით.

საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს განათლების სისტემამ საკმაოდ კონკურენტ უნარიანი ბაზარი შემნა საერთაშორისო ასპარეზზე, რაც დადებითად ისახება, როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე ასევე ინტელექტუალურ ზრდაზეც.

---

[37] ,,საქართველოს განათლების სისტემა“. გვ.1. https://eqe.ge/geo/static/7/education-system

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლობალიზაციის პირობებში საქართველომ ფეხი აუწყო განვითარების ეტაპებს და ცდილობს დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში განათლების განვითარების კუთხით, ისე რომ არც თავისი ტრადიციები და კულტურა უარყოს და არც ისე რომ ინდივიდუალიზმი დაკარგოს.

რაც შეეხება სომხეთის განათლების სისტემას დღესდღეისობის საკმაოდ ცუდად ფუნქციონირებს, ამის მიზეზი კი გახლავთ ის, რომ დემოკრატიულ პრინციპეპზე არ არის დაყრდნობილი განათლების სისტემა და ასევე ის, რომ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს ვერ პასუხობენ.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში საკმაოდ ძლიერი იყო, მათი განათლების სისტემა, რადგან რომ 1960 წელს გავრცელებული წიგნიერება 100% იყო. საბჭოთა პერიოდში დაწყებითი და საშუალო სკოლის განათლება სომხეთში უფასო იყო, ხოლო საშუალო სკოლის დასრულება - სავალდებულო.

საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ, სომხურმა განათლებამ სხვა საზოგადოებრივ სისტემებთან ერთად გაუარესება განიცადა. განათლების დაბალმა ხარისხმა და ღია გამოყენებამ და ასევე ჯგუფების წარუმატებლობამ, ემართათ სკოლები თავიანთი იშვიათი გეგმებით, გამოიწვია სასკოლო ოფისების დაშლა და შედეგმა გავლენა მოახდინა ერის ოფიციალური სწავლების ბუნებაზე.

სკოლებში მასალების შესწავლისა და არსებობის ნაკლებობაა, განსაკუთრებით იმ სკოლებში, რომლებიც განთავსებულია სასოფლო/სასაზღვრო ტერიტორიებზე და შეფერხებულ ჯგუფებში. დღეისათვის ყველაზე კრიტიკული სახელმწიფო და ეროვნული მიზანი არის საგანმანათლებლო ჩარჩოს გაუმჯობესების დაჩქარება და მისი გამბედაობის გარანტირება უნივერსალურ საზღვრებში. სწავლების ჩარჩოს გაცნობა „ინფორმაციული ეკონომიკის“ მოთხოვნებთან, წარმოადგენს წინამდებარე ცვლილებების საძირკველს.

სწავლების ეფექტური ცვლილებები წარმოადგენს ამ ეტაპის მთავარ ნაწილს. საექსპერტო სწავლების ცვლილებების ცენტრის მთავარი მიმართულებაა სომხეთის ინტეგრირება ნორმალურ ევროპულ საგანმანათლებლო რეგიონში და ბოლონიის პროცესის აუცილებლობის მიღწევის გარანტია: ღირებულების დადასტურების წარდგენა, ეროვნული შესაძლებლობების სტრუქტურისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გაუმჯობესება და ა.შ.

ათი წლის განმავლობაში სახელმწიფომ გააუმჯობესა და დაამტკიცა კანონებისა და მარეგულირებელი ანგარიშების მთელი კომპლექტი, რომლებიც საფუძველს უქმნიდნენ სწავლების ჩარჩოს განვითარებას. სომხეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის 35-ე მუხლი, რომელიც 1995 წელს გამოიცა, ახასიათებს, რომ თითოეულ საგანს აქვს შესაბამისი მორგება სწავლებისთვის; სწავლება მიმდინარეობს სახელმწიფო დამხმარე სასწავლო ფონდებში; თითოეულ მაცხოვრებელს უფლება აქვს მიიღოს სათანადო სწავლება უსასყიდლოდ, მოქმედი საფუძვლით, სათანადო სახელმწიფო სასწავლო ორგანიზაციებში.

სომხეთში დღეის მონაცემებით არის 1418 საშუალო სკოლა, 25 სახელმწიფო კოლეჯი, 11 კერძო საშუალო სკოლა, 4 აკადემიური სკოლა, 15 კერძო სკოლა. სათანადო განათლებისთვის, სომხეთის რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 197 საშუალო სკოლა-კოლეჯი (74-ჰუმანიტარული, 68 - ფიზიკა-მათემატიკის, 53 - საბუნებისმეტყველო მეცნიერების, 22 ეკონომიკის).

ზოგადი საშუალო განათლება სომხეთში სრულდება ორი წლის განმავლობაში, საწყისი ორი საფეხურის მიღწევიდან 2 წლის შემდეგ, რაც არის 3 წლიანი დაწყებითი სკოლა, ასევე, ხუთ წლიანი შუალედური სწავლება. მიღების პროცესი მიიღწევა საბაზო განათლების სერთიფიკატით. იგივე სერთიფიკატი, რომელიც გაიცემა ზოგადი საშუალო საფეხურის დასრულების

შემდეგ, ასეთია: 1. ატესტატი საშუალო განათლების დასრულებისთვის. 2. დიპლომი საშუალო პროფესიული განათლების დასრულებისთვის.

სომხეთში არსებობს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები. უმაღლესი განათლება ძირითადად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პასუხისმგებლობაა. არსებობს 26 სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი განათლება უზრუნველყოფილია მრავალი ტიპის ინსტიტუტით: ინსტიტუტებით, უნივერსიტეტებით, აკადემიებითა და კონსერვატორიებით. უმაღლესი განათლების მიღების მცდელობა პროფესიონალურ კარიერასთან დაკავშირებით არის პროფესიონალური განათლების შეთავაზება, გარდა გამოცდილებისა, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია შუალედურ პროფესიულ განათლებაზე, ისევე, როგორც მიღწეულ საშუალო ზოგად განათლებაზე. ეს ყოველივე აკმაყოფილებს განათლების პროგრესის საჭიროებებს.

სომხეთში განათლება ოფიციალურად გარანტირებულია ყველა მოქალაქისთვის, მაგრამ განათლების სისტემა უფრო და უფრო პრივატიზებული ხდება. ზოგიერთ მშობელს უჭირს სახელმძღვანელოების და სხვა საჭირო ნივთების შეძენა თავიანთი შვილებისთვის, ასევე სისტემა ძალიან კორუმპირებულია, რაც დამატებით ზედმეტ ხარჯებს ქმნის. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მშობლები იძულებულნი არიან უზრუნველყონ დამატებითი შემოსავალი მასწავლებლებისთვის ან დიდი თანხები, რათა დარწმუნდნენ, რომ მათი შვილები გამოცდებს ჩააბარებენ. კორუფციამ გამოიწვია სომხეთის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება.

ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საშუალო სკოლაში ჩარიცხულთა რაოდენობით ქალები უფრო ჭარბობენ ვიდრე კაცები. საბოლოოდ კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ სომხეთს სჭირდება, რომ განათლების სისტემაში კორუფცია აღარ

იყოს და ხელმისაწვდომი გახდეს დაბალი შემოსავლების დონის ოჯახებისთვისაც უმაღლესი განათლების მიღება. მაგრამ უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომ 15 წლამდე და მეტ ასაკშიც წერა კითხვა იცის მოსახლეობის 99%-მა რაც სწორი განათლების სისტემის დაგეგმვის შემთხვევაში, სომხეთს დაეხმარება, რომ გახდეს ერთ-ერთი საუკეთესო სახელმწიფო განათლების კუთხით.

მას შემდეგ, რაც სომხეთი ბოლონიის პროცესში შევიდა საინტერესოა თუ რა შედეგები არის საგანმანათლებლო სივრცეში. ზედაპირალად სომხეთში თითქოსდა ჩანდა, რომ ყველაფერი გაკეთდა უმაღლესი პროფესიული განათლების რეფორმირების პროცესში - სამეტაპიანი განათლების სისტემის დანერგვა, აკადემიური კრედიტების გამოყენება, ხარისხის უზრუნველსაყოფად შიდა და გარე სტრუქტურების შექმნა, საგნების პროგრამების შედგენის პროცესისთვის გარკვეული აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა, სტუდენტური მობილობის წინაპირობების ფორმირებით. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ბოლონიის პროცესის ჩამოთვლილი ხელსაწყოების ელემენტები ნაჩქარევად იქნა შემოღებული და, სავარაუდოდ, მაინც ვერ მიიღო ღრმა განვითარება სომხეთში. ერევნის სამიტის კომუნიკეშიც კი (2015 წ.) ნათქვამი იყო, რომ ევროპის უმაღლესი განათლების სფეროში, რომლის ნაწილიც სომხეთის რესპუბლიკაა, სტრუქტურული რეფორმები ხორციელდება არათანაბრად, ინსტრუმენტები ზოგჯერ გამოიყენება არასწორად, ზედაპირულად ან ბიუროკრატიული გზით. ასე რომ, სამაგისტრო პროგრამა სომხეთში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გაცნობიერებული და უნივერსიტეტების უმეტესობაში განიხილება, როგორც ხუთწლიანი საგანმანათლებლო სისტემის დასკვნით ეტაპზე. შედეგად, სამაგისტრო განათლება განაგრძობს ბაკალავრიატის სწავლების ტრადიციას, სტუდენტების კვლევითი დატვირთვით და გვერდის ავლით დამოუკიდებელი მუშაობისგან. იგივე სურათი დოქტორანტურაში, რომელშიც მიდგომები გასული საუკუნის

40-იანი წლებიდან უცვლელი დარჩა. მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში დოქტორანტურა დიდი ხანია ძალაში შედის, რაც სხვა მოთხოვნებს უყენებს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურს. ჩვენს რესპუბლიკაში აკადემიური სესხების მიღების განაცხადის პროცესი ასევე ფორმალური ხასიათისაა. ბევრ მასწავლებელსა და სტუდენტს ჯერ კიდევ არ შეუძლია განასხვავოს აკადემიური კრედიტები შეფასების სისტემიდან. უფრო მეტიც, თუ აკადემიური კრედიტების დაგროვების პროცესი გარკვეულწილად არის ორგანიზებული, მაშინ კრედიტების აღიარება საერთოდ არ ხორციელდება. სტუდენტთა მობილობა ინტერდისციპლინალურ დონეზე ძალიან პასიურია, ხოლო საერთაშორისო დონეზე, კრედიტების გადაცემა და სტუდენტთა მობილობა ხორციელდება მხოლოდ ევროპული გრანტების შემთხვევაში. და გამოდის, რომ კრედიტების დაგროვების პროცესი ფორმალური ხდება, არ ემსახურება მის მიზანს და ხელს უწყობს მობილობას. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური თავისუფლებები და უნივერსიტეტის ავტონომია გათვალისწინებულია კანონით, უნივერსიტეტები მათ სრულად არ იყენებენ. არ აქვს მნიშვნელობა რამდენს ვსაუბრობთ ტრენინგის ორგანიზების აუცილებლობაზე, რომლის ცენტრში იქნება სტუდენტი, ერთი და იგივე, პრაქტიკაა, სომხეთში გასული საუკუნის მემკვიდრეობით მიღებული სწავლებას იყენებენ, რომლის ცენტრში არის პედაგოგი, და რომელშიც თითქმის არ არსებობს არჩევითი კურსების პრაქტიკა, ინდივიდუალური მუშაობის ორგანიზება, სყუდენტის მონაწილეობა. სტუდენტები არ მონაწილეობენ საკუთარი განათლები შინაარსის ფორმირების პროცესში, თუმცა ეს ყველაფერი ოფიციალურად არის დაცული პროფესიული სწავლების პროგრამებში.

სომხეთში ბოლონიის პროცესის გავლენა აისახება საკანონმდებლო და ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში და არა რეალურ შედეგებში. ეს ნიშნავს, რომ ბოლონიის შეთანხმების შემდეგ, სომხეთმა შევიტანეთ რეფორმირებული კანონმდებლობა, მაგრამ განათლების სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის

სრულყოფილი და მოძრაობს ინერციით, რომელიც წარსულის ტრადიციებს შეესაბამება და დღემდე ვერ შეძლეს რეფორმების განხორციელება ბოლომდე.

2.3. განათლების პოლიტიკის გავლენა რეგიონული უსაფრთხოების პირობებზე - კონფლიქტების კერების დარეგულირების მოდელი

რეგიონული უსაფრთხოების პირობებზე მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია განათლების პოლიტიკას თუ რას ვასწავლით ან ასწავლიან ჩვენი რეგიონის სახლმწიფოები თავიანთ მოქალაქეებს. მთავარ ფაქტორს წარმოადგენ ის თუ რა ინფრომაციას აწვდიან ისინი ადამინებს, თუ კი შვენ ჩავუნერგავთ არასწორს ინფორმაციას და აგრესიას ჩვენი მეზობელი ქვეყნებისადმი საკუთარ მოქალაქეებს ეს აუცილებლად გარკვეული დროის შემდეგ გახდება კონფლიქტის დაწყების მიზეზი. ხშირად კონფლიქტის დაწყების მიზეზი ხდება არასწორი ან დამახინჯებული ინფორმაცია. კონფლიქტების დარეგულირების პროცესში მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა რომლებიც ნეიტრალურები არიან და მათ მთავარ ინტერესს წარმოადგენს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება. მოდით სანამ გადავალთ განათლების პოლიტიკის გავლენაზე რეგიონალი უსაფრთხოების პირობების კონტექსტში და განვიხილავთ კონფლიქტების კერების დარეგულირების მოდელს, უშალოდ განვიხილოთ თუ რას მოიცავს რეგიონული უსაფრთხოება.

რეგიონული უსაფრთხოება – გარკვეული რეგიონის სოციალურ-ტერიტორიულ გაერთიანებებს შორის არსებული ურთიერთობის მდგომარეობა, რომლის დროსაც მისდამი მიკუთვნებული სახელმწიფოების,

ხალხების, მოქალაქეების, საზოგადოებრივი ინსტიტუტების და ჯგუფებისთვის უზრუნველყოფილია მათი საარსებო ინტერესების დაცვა, საიმედო არსებობა და სტაბილური განვითარება. იგი ხორციელდება სხვადასხვა დონეზე[38].

- ქვეყნის ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში;
- სახელმწიფოს რამდენიმე მეზობელ რაიონში;
- გარკვეულ გეოგრაფიულ ზონაში შემავალი ქვეყნების ჯგუფის მასშტაბით.

ნებისმიერ დონეზე ემყარება ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების ურთიერთკავშირს. ძირითად ელემენტებად მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ეკოლოგიურ, სამხედრო და უსაფრთხოების სხვა ფაქტორებს. გაეროს წესდების და სხვა დოკუმენტების შესაბამისად, რეგიონული უსაფრთხოების სფეროში შედის: დავის მშვიდობიანი მოგვარება, რეგიონული სისტემის წევრებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილება; აგრესიის აქტების აღსაკვეთად და მშვიდობისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად კოლექტიური ღონისძიებების ორგანიზაცია, პრევენციული დიპლომატია, მშვიდობის შენარჩუნება, დამყარება და დამკვიდრება. რეგიონული უსაფრთხოება, როგორც წესი, ყალიბდება შეთანხმების საშუალებით. ასეთი შეთანხმებების, ორგანიზაციების და სტრუქტურების ერთობლიობით იქმნება უსაფრთხოების რეგიონული სისტემა[39].

განათლებას უდიდესი როლი აქვს, თითოეული ქვეყნის განვითარებაში. ხრიშად უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურები ცდილობონე ამათუ იმ ქვეყნის

---

[38] ,,რეგიონული უსაფრთხოება“, გვ.1. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90

[39] იქვე. გვ. 1.

განათლები სისტემა მოშალონ, განათლების სისტემა მარტო ბაგა-ბაღს, სკოლას და უნივერსიტეტს არ მიცავს, არის სხვადასხვა სასწავლო ტრენინგ წენტრები რომლებიც ატარებენს კიურსებს, სიმპოზიუმები, კონფერენციები სადაც უდიდესი ინფორმაცია ტლიალებს და სხვა სასწავლო კურსები მრავალი მიმართულებით. თუ კი საგანმანათლებლო სისტემა მოიშლება ეს გახდება საწინდარი ქვეყნის რღევევის, დესტაბილიზაციის და სრულიად გაქრობისაც კი. ჩვენ ხშირად ვხდებით ისტორიული მოვლენების დამახინჯებას, ქართული ენის დაკნინების მცდელობას. სასწავლო პროცესს სკოლებში უნდა დაემატოს ისეთი კონკრეტული საგნები, რაომლების მოსწავლეს მისცემს კარგ ცოდნას თუნდაც საკითარი დავის და გარშემომყოფთა დაცვის მიზნით, ანუ უსაფრთხოების მიმართულებით აუცილებელია ისწავლებოდეს კონკრეტული საგანი. ხანძრის, მიწისძვრის, მეწყერის ჩამოწოლისას თუ სხვა კატასროფის შემთხვევაში როგორ მოიქცეს ადამამიანი და გადაირჩინოს თავი. შეგვიძლია მარტივი გამალითები მოვიყვანთ ჩვენი უახლოესი წარსულიდან როდესაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მოქალაქეებმა თბილისში არ იცოდნენ, რომ მათ შეეძლოთ დაბომბვის დროს მეტროში შეეფარებინათ თავი. ცალკე საკითხია თუ ამ მოვლენას რამდენნაირი ინტერპრეტაიცით ჭარმოაჩინეს და ცდილობენ მოქალაქეების დაბნეულობაში ყოფნას თუ ვინ დაიწყო ომი, როდესაც ყველაფერი ნათელია და რუსეთმა დაიწყო ღიად ომი და მოახდინა აგრესია და ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს ყირიმის საკითხი რომლის ანექსია მოახდინა რუსეთმა, სადაც სხვა ფაქტორებთან ერთად მთავრი როლი ითამაშა საინფორმაციო ომმა. განთელბის ნაკლებობა და არასწორის ინფრომაცია არის პირველი მტერი ქვეყნის უსაფრთხოებისა. ეს მომენტი რუსეთმა სათავისოდ საკმაოდ კარგად გამოიყენა. რუსეთმა იცოდა უკრაინის პოლიტიკა აღმოსავლეთ უკრაინის მიმართ თუ როგორი იყო. ძირითადი ნაწილი ყირიმში თავს მიიჩნევს რუსად, ამის დარეგულირება და საკუთარი

სამშობლოსკენ შემოტრიელება უკრაინის ვერცერთმა ხელიუფლებამ ვერ მოახერხა. ეს მათ არასწორ პოლიტიკის და მოდუნების ბრალია, რა უკვე მტერმა კარგად გამოიყენა. როგორც ავღნშნეთ ამ მიმართულებით რუსეთის სპეც სამსახურებს დიდი შრომა აქვთ ადებული რათა უკრაინის ხელისუფლების მხრიდან ნაკლები ყურადღება მიქცეოდა ყირიმის დონბასის რეგიონებს და თუნდაც აღმოსავლეთ უკრაინის სხვა რეგიონებს. რუსეთის საინფორმაციო მაქნქანა საკმაოდ კარგად მუშაობს სათავისოდ, ეს კი რეალურად რეგიონალურ უსაფრთხოებას საკმადო დიდ საფრთხეს უქმნის.

კონფლიქტების დარეგულირების მრავალი მოდელი არსებობს, მაგრამ მთავარია ის თუ როგორია კოფლიატის ხასიათი, გამომწვევი მიზეზები, თანმდევი პროცესები, შედეგები და სხვა მრავალი ფაქტორი. ამ ყველა კომპონენტის გათვალისწინებით შემდგომ უკვე უნდა მოხდეს კონკრეტული მოდელი მისადაგება ან სრულიად ახალი მიდელის და მიდგომების შემუშავება კონფლისტის ტრანსფორმაციის და დარეგულირების თვალთსაზრისით. ხშირად კონფლიქტები მოუგვარებლობის მიზეზი ხდება არასწორად შერჩეული მიდგომები და მოდელები, რომესაც ზოგჯერ კონფლიქტი დარეგულირების ნაცვლად დესტაბილიზაციემდე მიჰყავს. ან გვხდება კონფლიქტები მრავალი სპექტრი რომელიც გაყინულ კონფლიქტებად იწოდება და ჩიხშია შესული მოლაპარაკებები, რომელთა დარეგულირება შეუძლებელი ხდება არასწორი პოლიტიკისა გამო. აქ კი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ზუსტად განათლების საკითხი ანუ რას ვგულისხმობთ კონფლიატის დარეგულირებაში უნდა მონაწილეობდეს მცოდნე ადამიანები და ამ სპეროში განათლებული ჭკვიანი და გამოცდილი სპეციალისტები. რაც ხშირ შეთხვევაში წარმატების საწინდარია და კონფლიატების ნორმალიზების.

სამხრეთ კავკასიის კონდლიატები თავისი ბუნებით ერთმანეთისგან განსხვავდებიანი თუმცა გარკვეული საერთო მახასიათებლებიც გააჩნიათ.

სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიატი მთიანი ყარაბაღის გამო, სადაც მონაწილეობს კონფლიქტის დარეგულირებაში სხვადასხვა მხარე ეუთო (OSCE), მინსკის ჯგუფი რომელთა საქმიანობა და სამშვიდოდბო პროცესში ჩართულობა საკმაოდ მნიშვნელოვანი. თუნდაც იმ თვალთსაზრისით, რომ კონფლიქტი უფრო არ გამწვავდეს და ბევრად აგრესიული სახე არ მიიღოს. მაგრამ, ჩვენ კვლავ ვხედავთ ეს კონფლიქტი ჯერ დარეგულირებული არ არის და აქაც ბევრი სამუშაოა გასაწევი, სადაც საქართველომ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს.

რაც შეეხება საქართველოში განვითარებულ კონფლიქტებს ცხილვალის რეგიონში, აფხაზეთში ჩვენ შეგვიძლია ვთაქვათ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომმა კიდევ უკან დაგვხია კონფლიატების დარეგულირების საკითხში. გაიმართა მოლაპარაკებები სხვადასხვა ფორმატი, რაუნდები თუმცა მნიშვნელოვანი შედეგი არ ერთს არ გამოუღია სამწუხაროდ. ამ ყველაფრსი მიზეზად შეგვიძლია ღიად დავასახელოთ რუსეთი მონაწილეობა და ჩართულობა კონფლიქტში და უშუალოდ მოლაპარაკებების პროცესში. რუსეთ ღიად არ სურს თავისი გავლენის სფეროდან გაუშვას აფხაზეთი და ცხივნალის რეგიონი. თუმცა მიუხედავად რუსეთის ესეთი ოლიტიკისა ჩვენ უნდა საქკმაოდ აქტიურად ვაწარმოოთ დიალოგი და მოლაპარაკებები. ამავე დროს ჩვენი მზაობა უნდა იყოს კონფლიატები მშვიდობიანად დარეგულირების საქმეში და ეს ჩვენ უნდა დავანახოთ მათ, რომ არ გვსურს ომი, მსხვერპლი და მეტი ტკივილის მიყენება ერთმანეთისადმი.

ერთ-ერთ მოდელად კონფლიქტების დარეგულირების ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ეროვნული შერიგების მიზანი, სადაც ხდება ურთიერთობის აღდეგან წინააღმდეგობაში მყოფ ეთნიკურ, რელიგიურ და ამავე დროს პოლიტიკურ თემებს შორის, ამავე დროს ამ თემებს შიგნითაც კონფლიქტური მდგომარეობის არსებობისას. შერიგებისას მთავარი მონაწილეები ინდივიდები

არიან, რადგან თავად ინდივიდები არიან კონფლიქტურ სიტუაციაში, მაშინ როდესაც საქმე ეხება შერიგებას, აქ უკვე ინდივიდები თვითონვე წყვეტენ შერიგდნენ თუ არა, ასევე თავი დააღწიონ კონფლიქტურ სიატუაციას. აქედან გამომდინარე ჩვენ ვიცით, რომ შერიგება არის ყოფილ დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობების ნორმალიზების ძირითადი მექანიზმი. ჯონ პაუელ რედერახი გვთავაზობს კონფლიქტის ტრანსფორმაციის მოდელს რომლის თანახმდაც შერიგების მნიშვნელოვანი დანიშნულებაა ურთიერთობების ნეგატიურიდან პოზიტიურისაკენ ტრანფორმაცია. მისივე აზრით ეს პროცესი არის ერთგვარი გატეხილი ხიდების მშენებლობა. ტრანსფორმაციული მოდელი დროს ხდება არასასურველის შეწყვეტა და სასურველის მშენებლობა დაპირისპირებულ მხარეებს შორის, ურთიერთობების ტრანსფორმაციის და მშვიდობის უზრუნველყოფის მეშევობით სადაც ყველა მონაწილე მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ეს პროცესი ვერ განხორციელდება თუ მოწინააღმდეგე მხარეები საკუტარ ქცევას არ შეიცვლიან. ნეგატიური ურთიერთობების პოზიტიურში უნდა ხდებოდებს გადაზრდა, ეს კი შეუძლებელია სიმართლის თქმის, კომპენსაციის გადახდის და სამართლიანობის გარეშე.

დასკვნა

ურთიერთდამოკიდებულების თანამედროვე პირობებში გლობალიზაცია არის ყოვლისმომცველი, რთული ფენომენი, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გლობალიზაციის გავლენის შესწავლა თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკურ ურთიერთობებსა და პროცესებზე, მათ შორის სახელმწიფოების და რეგიონული უსაფრთხოების სფეროში.

XX საუკუნის მიწურულს, XXI საუკუნის დასაწყისი, აღნიშნულია მსოფლიოში გლობალური ცვლილებებით. ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობისას ევროკავშირის ქვეყნებში აღმოაჩინეს, რომ აქ მტავრი როლი უნდა შეესრულებინა განათლებას, რომელიც დარჩა გაერთიანებული ევროპის ყველაზე ფრაგმენტულ და ნაკლებად ინტეგრირებულ სექტორად. ეს აიხსნება ეროვნული საგანმანათლებლო სტრუქტურების შენარჩუნების სურვილით. ამასთან, ევროპის შესვლამ გლობალური ცვლილებების ეპოქაში მოითხოვა განათლების ინტეგრაცია ეროვნული სისტემების მოდიფიკაციით, აკადემიური მობილობის განვითარებით. ამრიგად, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფორმირება ხდება პანევროპულ ინტეგრაციის პროცესის ნაწილი.

კვლევი შედეგად ნაშრომის ჰიპოთეზა დასტურდება, გლობალიზაციის პროცესმა საერთაშორისო პოლიტიკის ინტერნაციონალიზაცია რეალურად ხელი შეუწყო და გახდა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ამ პროცესისა. რეგიონული უსაფრთხოების დონეზე სხვადასხვა სახელმწიფოები საკმაოდ კარგად იყენებენ განათლების სფეროს და ამ პროცესში ,,რბილი ძალის“ ფაქტორი არის უმნიშვნელოვანესი. რეგიონული უსაფრთხოების დოზეც თავისი გავლენის და სტაბილურობის მიღწევის საქმეში.

რას წარმოადგენს გლობალიზაციის ფენომენი და მისი პოლიტიკური მდგენელი? თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, გლობალიზაციის საკითხი არის ერთ-ერთი აქტუალური განსახილველი თემა, რადგანაც მისი გავრცელების არეალი და სფერო არ არის შეზღუდული. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ის ყველა სფეროს მოიცავს და გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე და ამათგან კი უკვე ყველაზე მტავრ როლს თამაშო განათლების სექტორი. გლობალიზაციას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა გარკვეული სახელმწიფოები გლობალურ პროცესებში ჩართულობის მიუხედევად კარგად ინარჩუნებენ საკუთარ იდენტობას და მყოფადობას.

რა გავლენას ახდენს გლობალიზაცია განათლების პროცესზე და როგორია მისი ინტერნაციონალიზაციის ასპექტები? მეორე კითხვის პასუხად ჩვენ შეგვიძლია ვთაქვთ, რომ გლობალიზაციის პროცესი საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს განათლების პროცესზე და ინტერნაციონალიზაციის ასპექტების მიმართულებით ის ყველა სფეროს მოიცავს. გლობალიზაციის უარყოფითი გავლენის შესუსტებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განათლებას და განსაკუთრებით, უმაღლეს სასწავლებლებს. ერთი მხრივ, გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნებს, გადალახონ ეკონომიკური ჩამორჩენილობა და მოახდინონ პროდუქციის მოდერნიზაცია (ამის ნათელი მაგალითია : ჰონგკონგი, ტაივანი, სინგაპური, მალაიზია და სამხრეთ კორეა); მეორე მხრივ კი, ის ეკონომიკური სისტემები, რომლებმაც ვერ გაიარეს ადაპტაცია, ხდებიან კიდევ უფრო ჩამორჩენილები. საზოგადოების უნარი, გადავიდეს „ინფორმაციულ ხანაში“, დამოკიდებულია მისი წევრების განათლების დონეზე. ეს ეხება საგანმანათლებლო სისტემას- დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტის ჩათვლით. ყველაზე უფრო თანამედროვე ქვეყნების განათლების სისტემაც კი სრულად არ ასახავს სისტემის დინამიზმს, აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის ეპოქაში მეტად მნიშვნელოვანი და

საჭიროა ინვესტიციების ჩადება განათლების სფეროში. ახალი ერის გამოწვევებთან დაკავშირებულია კორპორატიული უნივერსიტეტების ჩამოყალიბება. ელექტრონული (დისტანციური) სწავლების სისტემა, დღითი დღე უფრო პოპულარული ხდება. უმაღლესი განათლების ერთ-ერთი მთავარი წამმართველი ფაქტორი. იგი განსაზღვრავს, თუ ვინ იქნება მოგებული გლობალიზაციის პროცესში.[40]

რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ განათლების სფერო როგორც რეგიონალური უსაფრთხოების „რბილი ძალის“ ფაქტორი, რომელსაც ევროკავშირი იყენებს თუნდაც კავკასიის რეგიონის მაგალითზე, იგივე თუნდაც ე.წ. „ბოლონიის პროცესის“ სახით? მესამე კითხვის პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ რეგიონული უსაფრთხოებაზე ნამდვილად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განათლების სფერო ,,რბილი ძალის“ ეფექტით, ევროკავშირის პოლიტიკა და მინდგომები თავისთავად გულისხმობს მის ერთიან სივრცესთან შერწყმას რომელი პროცესიც მიმდინარეობს კავკასიის რეგიონში, თუმცა ამ რეგიონის ყველა ქვეყანა ერთნაირად არ არის ჩართული ამ პროცესში. ზოგან უფრო აქტიურად მიმდინარეობს თუნდაც ე.წ. ,,ბოლონიის პროცესი“, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში საკმაოდ ნელი ტემპებით და ზოგჯერ მარტო საკანონდებლო დონეზეა და ნაწილობრივ ხდება აღნიშნული პროცესის განხორციელება.

ჩვენ ვხედავთ თუ რამდენა მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონფლიქტების დარეგულირებაში და პრევენციაში განათლების ფაქტორი და მზაობა მშვიდობიანი თანაცხოვრების. განათლების კომპონენტის კიდ ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება და მიზანია კონფლიქტის თავიდან გაღვივების პრევენცია.

---

[40] ,,გლობალიზაცია და განათლება“. გვ.1. https://btuglobalizationguide.wordpress.com/2018/01/15/%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91/

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკობია ე., „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, თბილისი - 2006.
2. დავითაშვილი ზ., „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“, გამომცემლობა: ფონდი „ღია საზოგადოება– საქართველო“, თბილისი -2003.
3. ეთერია ე., „გლობალიზაციის არსის განსაზღვრისთვის“, გამომცემლობა: „ახალი აზრი“, თბილისი - 2003. http://www.nplg.gov.ge
4. ჩიტაძე ნ. ,,გეოპოლიტიკა“. გამომცემლობა: „უნივერსალი“. თბილისი - 2011.
5. მაღლაკელიძე შ., ,,განათლების გლობალიზაცია – დასავლეთის გამოცდილება, საქართველოს პერსპექტივები”. გამომცემლობა: ,,პრომეთე“. თბილისი -2006.
6. სართანია ვ., ,,გლობალიზაცია და უმაღლესი განათლების როლი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში“. თბილისი-2010.
7. სანიკიძე გ. და კიღურაძე ნ. „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“, გამომცემლობა: მერიდიანი, თბილისი - 2001.
8. გაჩეჩილაძე რ. ,,საქართველო მსოფლიო კონტექსტში“. გამომცემლობა: ,,ბაკურ სულაკაურის“. თბილისი -2013.
9. გეგეშიძე ა. ,,გეოპოლიტიკა“. თბილისი -1999.
10. გოგაძე ნ. ,,გლობალიზაცია: დადებითი და უარყოფითი მხარეები“. თბილისი-2014. http://socium.ge/index.php/articles/student-articles/86-globalizaci-dadebiti-da-uaryofiti-mkhareebi
11. მაღრაძე გ. მაისაია ვ. ,,21–ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა– რეგიონული და გლობალური ასპექტები“. გამომცემლობა: ,,უნივესალი“, თბილისი-2017.

12. პიპინაშვილი დ. ,,სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები“. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი-2009.
13. ჯონსი სტივენ, ,,საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“. თბილისი-2013.
14. ყორღანაშვილი ლ., ,,სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობა“, თბილისი-2017.
15. ,,განათლების სისტემა სომხეთში“. თბილისი-2012. http://intermedia.ge
16. Rizvi, F. & Lingard, B., ,,Globalizing education policy“. New York: Routledge. 2010.
17. Stromquist, N.P., ,,Internationalisation as a response to globalization: radical shifts in university environments“. Higher Education. 2007.
18. Paige, R.M., ,,Internationalisation of higher education: performance assessment and indicators“. Nagoya Higher Education Research. 2005.
19. Asmus Ronald, ,,Dimitrov Konstantin and Forbrig Joerg - A NEW EURO-ATLANTIC STRATEGY FOR THE BLACK SEA REGION“. Editors, GMFUS - 2005.
20. Kyris George, ,,Europeanisation and Conflict Resolution: The Case of Cyprus“, Barcelona: Institut Barcelona D'estudis Internacionals, 2013.
21. Fukuyama Francis., ,,The end of history and the last man", London: free press, 1992.
22. Cornell Svante, Starr Frederick, ,,The Caucasus: A Challenge for Europe Central Asia", Caucasus Institute and Silk Road Studies Program, 2006.
23. Mearsheimer John., ,,Back to the Future-instability in Europe After the Cold War" http://mearsheimer.uchicago.edu/pdfs/A0017.pdf

24. Scholte Jan Art, ,,The globalization of world politics, in The Globalization of World Politics: An Introduction to International Relations“, ed. John Baylis and Steve Smith. Oxford: Oxford University Press, 1997.
25. Аржанова И.В., ,,География и арифметика болонского процесса. Аккредитация в образовании“. 2007.

ინტერნეტ რესურსები:

26. ,,სოციალური კონსტრუქტივიზმი“. http://dictionary.css.ge/content/social-constructivism (ბოლო ნახვა-15.05.2020)
27. მაღრაძე გ. მაისაია ვ. ,,21–ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა–რეგიონული და გლობალური ასპექტები“. გამომცემლობა: ,,უნივესალი“, თბილისი-2017.
28. ,,კრიტიკული თეორია“. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. გამომცემლობა: ,,ლოგოს პრესი“, თბილისი-2004. http://dictionary.css.ge/content/critical-theory (ბოლო ნახვა-15.05.2020)
29. ,,ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“. http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=383 (ბოლო ნახვა-16.05.2020)
30. ,,მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“. http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=346 (ბოლო ნახვა-16.05.2020)
31. მარიამ აფრიაშვილი, ,,გლობალიზაციის გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე“. თბილისი -2013. http://intermedia.ge (ბოლო ნახვა-17.05.2020)
32. ინგა ხუციშვილი., ,,თემატური სემინარი 1 განათლების გლობალიზაცია“, თბილისი -2018. https://www.academia.edu(ბოლო ნახვა-17.05.2020)
33. ალექსანდრე პეტრიაშვილი, ,,რბილი ძალა: პირდაპირი დამიზნებით პარლამენტში“, თბილისი-2018. https://forbes.ge/blog/372/pirdapiri-damiznebiT-parlamentSi
34. გიორგი კობერიძე, ,,რუსული რბილი ძალა სამხრეთ კავკასიაში“, თბილისი-2018. https://foreignpolicycouncil.com/2018/12/05/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90-

%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%94/
35. გიორგი ლომთაძე, ,,რუსეთის რბილი და ხისტი ძალა საქართველოს წინააღმდეგ“, თბილისი-2017. https://idfi.ge/ge/russias_soft_and_hard_power_in_georgias
36. რიჩარდ გირაგოსიანი, ,,სომხეთ-რუსეთის ურთიერთობები: შემცირებული სარგებელი“, თბილისი- 2017. https://ge.boell.org/ka/2017/10/16/somxet-rusetis-urtiertobebi-shemcirebuli-sargebeli
37. ,,რა არის განათლების განსაზღვრის ინტერნაციონალიზაცია. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია. განსაკუთრებული შერწყმა“. თბილისი-2020. https://ief-usfeu.ru/ka/chto-takoe-internacionalizaciya-obrazovaniya-opredelenie/
38. ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტები: შოთა მესხია ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. http://www.zssu.ge/zssu2/node/1144
39. მამუკა ჯორბენაძე, „გლობალიზაციის პროცესი და ეროვნული კულტურები“, თბილისი-2012. https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_3503_1.pdf
40. ეკა ჩოხელი, ,,უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია გლობალიზაციის პირობებში“, თბილისი-2018. http://eprints.tsu.ge/662/1/Internationalization%20of%20%20High%20%20Education%20%20in%20%20the%20%20Era%20%20of%20%20Globalization.pdf
41. ინგა ხუციშვილი, ,,გლობალიზაცია და მისი გავლენა განათლების სისტემაზე“, თბილისი-2012.
42. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ. ევროპის ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების შეხვედრის კომუნიკე პრაღა, 2001 წლის 19 მაისი https://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/2%20praRis%20komunike.pdf
43. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე ბერლინი, 2003 წლის 19 სექტემბერი https://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/3%20berlinis%20komunike.pdf
44. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე – მიზნების მიღწევა ბერგენი, 2005 წლის 19-20 მაისი უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე. https://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/4%20bergen%20communique.pdf
45. ერევნის კომუნიკე. 2015 წლის მაისი https://eqe.ge/res/docs/201909301143122015%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E

1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%94.pdf
46. მარიამ ხიზანაშვილი, თამარ ახალაძე,. ,,ბოლონიის პროცესი და ბოლონიის სისტემის კრიტიკა“. თბილისი- 2015. http://intermedia.ge
47. თამარ მჟავანაძე, ,,საქართველო, ბოლონიის პროცესი და მისი სოციო-პოლიტიკური მნიშვნელობა“. თბილის- 2015. http://iveria.biz/1338--.html
48. ,,საქართველოს განათლების სისტემა“. https://eqe.ge/geo/static/7/education-system
49. ,,რეგიონული უსაფრთხოება“, http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90
50. ,,გლობალიზაცია და განათლება“.. https://btuglobalizationguide.wordpress.com/2018/01/15/%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91/
51. ,,Education System of Armenia“. https://www.armeniaeducation.info/education-system
52. ,,EDUCATION IN ARMENIA“. https://borgenproject.org/education-in-armenia/
53. Артур Акопян, ИАПС Антитопор, ,,Армения и глобализация“. https://antitopor.com/articles/armeniya-i-globalizaciya.html
54. Саркисян Н.А., ,,Особенности внедрения Болонской системы в Армении“, см. http://dis.finansy.ru/info/010bolon.htm